645/1959/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო განყ.




# საბჭოთა ქალი

№ 11 ნოემბერი 1959 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაბადების 70 წლისთავი

საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი ახალგაზრდებთან.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 11 ნოემბერი 1959 წელი

საბჭოთა ქალი

გამოცემის მესამე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა




პლაკატი კ. ივანოვის

აკაკი გეწაძე

# ცისარტყელა

ბავშვი რომ ვიყავ, მეც დავრბოდი მთა-მთა, ველ-ველა,
რომ ცისარტყელაც დამეჭირა, როგორც პეპელა.
რამდენ პეპელას ჩემს მახლობლად გაურბენია
თუ მსურვებია, ჩემს ტყვეობას ვერ ასცდენია,
ცისარტყელა კი ერთხელაც ვერ მოვიგდე ხელში,
თუმცა მთა-ბარი შევაჯერე რბენით და ხვნეშით.
გულს მინათებდა მზის ღიმილი ცაში და ველად
და მე ვნატრობდი, რომ ჩემსავით ეცოცხლა ყველას.
ამ ფიქრს ვანდობდი ვარდებს—ბაღში თვალებგახელილს,
მაგრამ შორს, სადღაც სხვას ფიქრობდა ავადმზრახველი.
და ატყდა ომი.... კაცი გახდა თოფივით მკაცრი,
გამრავლდა ფერი ტყვიის, ცეცხლის, კვამლის და ნაცრის.
ვიგონებ: ერთხელ ჩვენს სანგრებში დღე ჩაწვა მშვიდად,
არც ნაღმი ჰქუხდა და არც სადმე ქვემეხი ჰყეფდა.
ნაცრემლარ ზეცას ცისარტყელა გადაემშვილდა,
მან ცალი ფეხი ჩვენთან ჩადგა, მეორე—მტრებთან.
თოფის ლულაში სიკვდილივით ეძინა ტყვიას,
ყველა ჯარისკაცს მაინც ჰქონდა თვალები ღია.
პირისპირ გაჭრილ სანგრებს შორის დუმილი მკვდრული
იმას ნიშნავდა, არ კვდებოდა ირგვლივ არავინ,
ტყვიით არ ჰქონდა გახვრეტილი არავის გული
და ეს დუმილი მაინც იყო გულშემზარავი.
ის ცისარტყელაც თუმცა ჩანდა ლამაზი ფრიად,
ვერ ვიგრძენ მაშინ ჯარისკაცმა მშვენება ფერთა.
ემუქრებოდა ცისარტყელას ნაღმი და ტყვია:
მას ერთი ფეხი ჩვენთან ედგა, მეორე—მტრებთან.
უცებ აღზავდნენ ქვემეხები: დუმილი ჩაკლეს,
იმ დღეს დაქვრივდა ბევრი ქალი, დაობლდა ბავშვი.
მკერდდაფლეთილი ცისარტყელა დააკვდა სანგრებს,
მის ნაცვლად მიწის შადრევნები ავარდა ცაში.

ომში რამდენი ცისარტყელაც შემუსრა დენთმა,
რამდენიც თოფმა და ქვემეხმა დააზიანა,
ყველა გაცოცხლდა ცხრა მაისის ლაჟვარდში ერთად,
გაცისარტყელდა ნაავდრალი ზეცა მთლიანად.
დღეს ჩემ წინ მოჩანს ცის დარბაზი ნახევრად ღიპ,
ფირუზ გუმბათში მწვანე მთები დგანან დიდგულად
და ერთი მთიდან მეორეზე, ლამაზი ფრიად,
ფართოდ გაშლილი ცისარტყელა გადახიდულა,
მახარებს ერთად შვიდთა ფერთა ტკბილი სიმღერა;
ეს შვიდი ფერი მიკაშკაშებს ველებს, მთაგორებს;
მე ცისარტყელა მიტომ მიყვარს ასე ძლიერად,
მისი მშვენება საქართველოს მთა-ბარს მაგონებს.
ცისარტყელაზე სასიმღეროდ მსოფლიოს ვუხმობ,
რომ ფერთა ჰიმნი ყველა სულდგმულს ექცეს ხალისად.
მე ცისარტყელა მიყვარს კიდევ იმიტომ უფრო,
რომ ნიშანია მშვიდობის და კარგი დარისა.
მსურს მიწა ყველგან იცინოდეს ზეცის კარამდის,
მზეს შეჰხაროდეს დუნიაზე ყოველი კაცი.
მსურს მთელ მსოფლიოს ცისარტყელა ერტყას მარადის,
რომ არ გამრავლდეს კვლავ ფერები ცეცხლის და ნაცრის.
შორს დამრჩა უკვე ფეხშიშველა ბავშვობის დღენი,
დღეს ისვენებენ ის დღეები დაღლილნი რბენით.
ხოლო პეპლებს და ცისარტყელას ჯოხის რაშებით
დასდევენ ახლა მეოცნებე ჩემი ბავშვები.
დაე, ირბინონ, დამემსგავსონ ჯანით და ღონით,
ოღონდ არ ეგრძნოთ არასოდეს—რა არის ომი.
მათ განვლილ დროჟამს ცისარტყელას მშვენება ჰქონდეს,
მაგრამ არ იყოს მოკლე, როგორც სიცოცხლე პეპლის;
როცა მოხუცნი დატოვებენ ამ წუთისოფელს,
ზეცის ქვეშ მათაც დარჩენოდეთ ნათელი ძეგლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზიურ აჭარაში

ფოტო ნ. ბაიბურინის

გიამბობთ აჭარაზე, სადაც ზამთარი თბილია და ზაფხულობით ზღვა გიალერსებთ, სადაც კრეფენ ჩაის და მწიფდება ციტრუსები, სად ჩამოდგება ნაპირზე გემი და ჩამოსხამს მგზავრებს. არაფერს ვიტყვით, რა ლამაზია აჭარა ან როგორი დაისი იცის ბათუმში. ჩვენ ხალხზე გიამბობთ. უწყინარ, სტუმართმოყვარე ხალხზე, ცოტას რომ ამბობს თავისთავზე და ბევრს აკეთებს, ხელები რომ ნაჯაფარი აქვს და სახე—მხიარული.

## ემოკლება დღე გოგოლას

სადღაც ქვევით რჩება ზღვა და მზე, მანქანა სულ ზევით-ზევით მიიწევს. კიდევ ერთი ორღობე, კიდევ ერთი შესახვევი და ჩერდება.



გოგოლა კაიკაციშვილი

სოფელ ციხისძირს თავზე რომ წამოადგები, უცებ, შენს თვალწინ, თითქოს დედამიწის შუაგულიდან, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების მწვანე ზღვა ამოტივტივდება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის შენობიდან ნარინჯების ჩუქურთმებში ჩამჯდარი მოჩანს ციხისძირი, უფრო ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ და წინ—სკოლის შენობები; იქით—მეცხოველეობის ფერმა და სამედიცინო პუნქტები გამოჩნდება.

დილის ექვსი საათია. კანტორის ერთი ოთახიდან ისმის ქალის ხმა, მშვიდი და მკაცრი. «გოგოლას დილაადრიან თუ დაიჭერთ კანტორაში»...—მახსენდება მითხრეს გუშინ ქობულეთში.

ოთახში ათიოდე კაცია. თავმჯდომარე მაგიდასთან ზის, ფანქარს დინჯად ათამაშებს ხელში.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გარკვეულია ჩემთვის: თავმჯდომარე მანქანებს ანაწილებს რკინის ბოძების გადასაზიდად (აქამდე ელექტროგაყვნილობა ხის ბოძებით ჰქონდა კოლმეურნეობას), პურის, ბოსტნეულის, ხორბლისა და ხრეშის გადასატანად...

ჩნდება კიდევ უამრავი, ერთი შეხედვით, თითქოს «წვრილმანი» საკითხები. ის ყველას მოუსმენს, გაუგებს და რჩევას აძლევს.

მხოლოდ მეორე წელია, რაც გოგოლა კაიკაციშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. და მეორე წელია, რაც რაიონში ლაპარაკი დაიწყეს ამ კოლმეურნეობაზე, როგორც მოწინავეზე. 1957 წელს კოლმეურნეობამ ერთ შრომადღეზე პრემიის ჩათვლით 22 მანეთი გაანაწილა. 1958 წელს კი—30 მანეთი და 18 კაპიკი. შარშან სამჯერ მეტი ციტრუსი ჩააბარეს სახელმწიფოს და ამავე დროს 19.000 შრომადღით ნაკლები დაიხარჯა, ვიდრე 1957 წელს. გაიზარდა შრომადღის ღირებულება...

ახლა ადვილია ლაპარაკი. მაშინ კი...

მაშინ გენახათ ის, გენახათ ღამე, როცა სახლში მშვიდად ეძინა მის ხუთ შვილს, ქმარს. გოგოლა კი თვალგახელილი ხვდებოდა განთიადს, მერამდენედ ტუქსავდა თავს... სოფელში ათასამდე კომლია, 700 კოლმეურნეობის წევრი! ყველას გაუგოს უნდა, ყველას დაეხმაროს, ყველას რჩევა მისცეს ერთმა ქალმა, მან, გოგოლამ!

თუმცა ბავშვობიდანვე იცნობდნენ სოფელში. იცნობდნენ მუყაით, გამრჯე ქალიშვილს, რომელმაც ბათუმში ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა, მერე პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, ახსოვთ, შუაღელეში მასწავლებელი რომ დასჭირდათ—გოგოლა წავიდა.

იცნობენ, როგორც შესანიშნავ დედას—მკაცრსა და გულისხმიერს.

იყო იმ წლებში სიხარული, იყო გრძნობა ისეთი, როცა შენ თვითონ ხარ შენი თავის კმაყოფილი, იყო უძილო ღამეები და მწუხარებაც, დიდი მწუხარება-პატარა, 5 წლის ბიჭუნას სიკვდილი...

ერთი წუთით შეჩერდება და ვამჩნევ—უცებ როგორ მოეშვა მხრებში ეს მაღალი, ლამაზი ქალი. მხოლოდ ერთი წუთით. სახე ისევ უნათდება მერე, გაიღიმებს და...

— ნეტავი ჩემი შვილები განახათ...—იტყვის.

... ტელეფონის ზარი აწკრიალდა. პარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტიდან რეკავენ: როგორაა საქმეებიო.

დღეს 24 სექტემბერია. ჩაის კრეფის წლიური გეგმა ციხისძირში შესრულებულია.

— შევასრულეთ და გადავაჭარბეთ კიდეც,—ეამაყება გოგოლას,—606 ტონა და 670 კილოგრამია მოკრეფილი. ხომ გახსოვთ, რამდენი უნდა მოგვეკრიფა?—606 ტონა!

... კოლმეურნეობას რაიონში ყველაზე მოწინავე ფერმა აქვს. შარშან გეგმით გათვალისწინებულ 1900 ლიტრის მაგივრად ერთ საფურაჟე ძროხაზე 2095 ლიტრი რძე მიიღეს. წელს კი 1 ოქტომბრისათვის უკვე მიღებულია 2212 ლიტრი. ყველაფრით ეხმარება გოგოლა მწველავებს. ზექიე ნიჟარაძის, ფენია გობრონიძის, სონია მალაყმაძის, ნათელა თურმანიძის, სოციალისტური შრომის გმირის აიშე გოგიტიძის და ბევრ სხვათა სახელებს დიდიხანია იცნობენ აჭარაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე ლ ე ნ ე ჭ ე ი შ ვ ი ლ ი (მარცხნივ)

ემოკლება გოგოლას დღე. არ თავდება საზრუნავი, რა გამოლევს კოლმეურნეობაში საქმეს! თვითონ ერთია და ისინი ათასი. ყველას სხვადასხვა ხასიათი და მისწრაფება აქვს. თვითეულს განსხვავებულად უნდა მიუდგე. სახლში გაჯავრდება ხანდახან, სოფელი კი სხვაა...

მაღალმთიანი რაიონებიდან (ქედა, ხულო) ციხისძირში ჩამოსახლდნენ კოლმეურნეები. გოგოლამ იცის, მათ უფრო სჭირდება დახმარება, ხელშეწყობა, სითბო. ჯერ სტუმრებივით არიან. პირველ რიგში მათ დაეხმარება და მერე «თავისიანებს».

ყველას სახლში შედის, ყველას გასაჭირი და სიხარული იცის. იცოდა, რატომ ტიროდა ჩუმჩუმად სულიკო ხინიკაძის დედა. «ბიჭი გადამერია, უსაქმურობს, ვერაფერი მოვუხერხეო,»—ამბობდა თვალცრემლიანი დედა მეზობლებში. გოგოლამ ბევრი იფიქრა. მერე მივიდა სულიკოსთან. არავინ იცის, რა უთხრა. მეორე დღეს საწყობი ჩააბარა და...

— ნეტა, რა უთხრა, ასე რომ გამოიცვალა ეს ბიჭიო...—ამბობენ ახლა სოფელში.

ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ დავიღალეო,—არ ამბობს. ნამდვილი მეგობარი ყავს: ოთარ კირჩხელი აქვე მუშაობს კოლმეურნეობაში აგროეკონომისტად. სახლში რომ ბრუნდება გოგოლა, თავზე წამოადგება წიგნზე თავდახრილ ქმარს, ჩუმად მოუყვება მთელი დღის ამბებს და შეიძლება მხოლოდ მას ეტყვის ვინ აწყენინა დღეს...

ალბათ, ოთარსაც ედო წილი იმაში, რომ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლა დაიწყო გოგოლამ. ვიღაცამ კი სთქვა—რა დროს გოგოლას სწავლააო, მაგრამ ჯერ ხომ 36 წლისაა, წინ კიდევ გრძელი, საინტერესო ცხოვრებაა და სჯერა ხალხს:

— თუ რამეს მოჰკიდა ხელი გოგოლამ...

უკვირთ კი სოფელში: ძილს როდის ასწრებს, ან ამდენი საქმის გაკეთება როგორ შეუძლიაო...

## დასვენებას სულ არ ფიქრობს

თმა გათეთრებია ელენეს, ჯერ კი ახალგაზრდაა სახით, ხასიათით, ჯანითაც. მხოლოდ თმაა ხანს რომ მატებს.

19 წლის წინათ დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურეო ინსტიტუტი. 19 წლის წინ იყო, რომ უყვარდა და ცოლად გაჰყვა თანაკურსელ გაბრიელ თენეიშვილს.

გომის სპირტის ქარხანაში მუშაობდნენ ორივენი, ომი რომ დაიწყო. გაბრიელმა ახალგაზრდა ცოლი ერთი წლის ბავშვით დასტოვა და ომში მიმავლებს გაჰყვა.

ფეხმძიმედ დარჩენილ ცოლს მეორე შვილი შეეძინა, ქმრის წერილები კი აღარ მოდიოდა. მერე გაიგო ქერჩში დაღუპული ქმრის ამბავი და დაიტირა თავისი ქვრივობა.

ლაითურის ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა ცვლის ტექნოლოგად, მამით ობოლი უმცროსი შვილი რომ დაეღუპა.

თეთრიც მას შემდეგ გაუჩნდა თმაში ელენეს.

ვეღარ გაჩერდა ლაითურში გამწარებული დედა და ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში გადავიდა.

ცხოვრებაზე მოუბრუნდა გული, მოსკოვში რომ გააგზავნეს სატიტესტერო კურსებზე.

ბათუმის ჩაის ფაბრიკაში ახალი ტიტესტერი მივიდა—ელენე ჭეიშვილი.

მერე ქობულეთის ჩაის ფაბრიკაში გადაიყვანეს, მალე მთავარ ტექნოლოგად დააწინაურეს, 1952 წელს კი დირექტორად დანიშნეს.

პირადი ცხოვრებით გული აქვს დაწყვეტილი დედას, მაგრამ ვაჟკაცი შვილი რომ მოესწრო, სიხარულმა მგონი თმას ძველი ფერი დაუბრუნოს. ახლა ელენეს ოჯახს უკაცობა არ ეთქმის. მუშაობს და დაუსწრებლად სწავლობს შვილი, დაამთავრებს და დედას დაასვენებს.

დედა კი დასვენებას სულაც არ ფიქრობს, იმდენი გეგმები აქვს მომავლისათვის.

წელს ფაბრიკის დიდი რეკონსტრუქცია უნდა დაიწყოს, ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაამთავროს, სპორტული მოედანი მოაწყოს.

თანხები კი ბევრი აქვთ:

1958 წელს სახელმწიფოს რომ ზეგეგმითი მოგება მისცეს, სამშენებლო ფონდად 350 ათასი მანეთი მიიღეს.

ფაბრიკას აქვს სასადილოც, ფურნეც, ბიბლიოთეკაც, საცხოვრებელი სახლებიც, თითქმის არ აკლია არაფერი, რაც სჭირდება 250-კაციან კოლექტივს, დირექტორს კი მაინც ეცოტავება.

სანამ ფაბრიკის ეზოში შეხვიდოდეთ, მაღალი ხეებით დაჩრდილულ ხეივანს გაივლით, გრძელია ეს ხეივანი და ლამაზი. სადღაც, კეთილმოწყობილ პარკში გეგონებათ თავი. შეხვალთ ეზოში და სიმწვანეა, ყვავილნარი.

ამ ხეივანში შეეფეთა ერთ დღეს დირექტორი თბილისიდან ჩამოსულ ახლადდანიშნულ სპეციალისტს. ქალიშვილი მოდიოდა სვენებ-სვენებით, შუბლს იჩრდილავდა, რომ უკეთ დაეთვალიერებინა ადგილი, სადაც მუშაობას აპირებდა.

— ეს, ალბათ, ახალი ტიტესტერია,—იეჭვა ელენემ და გამოელაპარაკა.

— ნახეთ ყველაფერი და თუ მოგეწონებათ, დარჩით,—ასე უთხრა ბოლოს.

ბევრი არ უფიქრია ქალიშვილს, მალე გადასწყვიტა დარჩენა.

ახლა ერთად ცხოვრობენ უფროსი ტიტესტერი თამარ ბებურიშვილი და ლაბორანტი ოლია ჭანკვეტაძე. ქალიშვილების გვერდით დირექტორის საცხოვრებელი ოთახია.

თუ ქალიშვილები შინ არ არიან, მალიმალ იხედება გარეთ ელენე—რატომ შეაგვიანდათო, მერე კი შვილს აგზავნის მათთან.

თუ შინ არიან, ელენემ იცის, რომელს რა კერძი უყვარს, რომელს შინაურები მოენატრა და სახლზე ფიქრობს.

შინ გულჩვილია, გარეთ, სამუშაოზე კი—მომთხოვნი.

როცა ჩაის კრეფის სეზონია, ფაბრიკა განუწყვეტლივ მუშაობს. სულ რომ არ დაისვენოს, მაინც ვერ მოილევს საქმეს ელენე. თან არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიწყდება, რომ ვენერა თოდუას ახალშექმნილ ოჯახს სკამები სჭირდება და უგზავნის.

ზოგჯერ ხალხი მოსდის, სტუმრები. ხშირად მოდიან რაიკომის მდივანიც და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორიც.

— როგორ არის საქმე?—იკითხავს რაიკომის მდივანი და წინასწარ იცის, რასაც ეტყვის ელენე.

— თუ კრეფის ხარისხი დარღვეულია, ფოთოლს არ მივიღებ,—და დირექტორისაკენ გაიხედავს.

ცუდ ფოთოლს არ ჩაიბარებს ფაბრიკის დირექტორი. 200 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაის აგზავნიან პოლონეთში. მათი ჩაი მიდის მოსკოვში, უფაში, სირცხვილს ხომ არ სჭამენ?!

თავისი რომ არ გაეტანა, ასეთი არ ექნებოდა ნახევარი წლის შედეგები:

ფაბრიკამ უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა 103 პროცენტით შეასრულა, პირველი ხარისხისა—119 პროცენტით, ერთ კილოგრამ ნედლეულზე 2 მანეთის და 58 კაპიკის მოგება მიიღო. 160 ათასი მანეთის ეკონომია აქვს.

...აჭარაში ცხოვრობს მოხუცი არსენ ჭეიშვილი. მას 5 ქალიშვილი ჰყავს. მშრომელმა გლეხკაცმა ხუთივეს მიაღებინა უმაღლესი განათლება. ელენეც მისი ქალიშვილია. ახლა, თუ შვილის კარგ ქალობაზე ეტყვიან მამას. მოხუცს უხარია და, ალბათ, არ ამხელს, ადრე რომ გულს აკლდა:

ნეტა ვაჟი რად არა მყავსო!

## ერთი დღე არ ჰგავს მეორეს

19 წელი ლაბორატორიაში ყოფნა. ნავთობის ხარისხის და ასორტიმენტის განსაზღვრა, მისი გაწმენდა შენარევებისაგან.

19 წელი ნავთობისაგან მიღებული პროდუქტების კომბინირებისათვის რეცეპტების დამზადება.

და მაინც მოსაწყენი სულაც არ არის. ქსენია მახარაძისათვის ორი დღეც კი არ ჰგავს ერთმანეთს. ყოველდღე რაღაც ახალი ფიქრი ემატება, ახალი საზრუნავი.

1940 წლიდან იგი სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ლაბორატორიაშია—ჯერ ქიმიკოსად, შემდეგ განყოფილების გამგედ, ახლა კი ლაბორატორიის გამგეა.

ლაბორატორია მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწევა. ლაბორანტები, ქიმიკოსები, განყოფილების გამგეები ახლის ძიებაში არიან.

ქსენია მახარაძესთან მუშაობდა ლაბორანტად ემანუილ ადინოვიჩი, შემდეგ რომ სამუშაოსაგან მოუწყვეტლად მოსკოვში უმაღლესი განათლება მიიღო, ასპირანტურა დაამთავრა და ახლა ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორია.

ქსენია მახარაძე



თვით ქსენია მრავალი რაციონალიზატორული წინადადების და გამოგონების ავტორი თუ თანაავტორია. მან მიაკვლია საშუალებას, რომლითაც მოხერხდა წყალშენარევი ნავთისაგან წყლის გამოყოფა. მან გამოიყენა ტუტეები, როგორც ნავთობის პროდუქტების საუკეთესო გამწმენდი საშუალება.

ადრე უფრო წყნარი ცხოვრება ჰქონდა ქსენიას. იგი გურიაში დაიბადა, ნატანებში, საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, ბავშვებს ასწავლიდა სკოლაში.

უმაღლესი განათლება ძმამ მიაღებინა სარატოვში. რუსეთშივე დაიწყო მუშაობა ქიმიკოსად...

ბავშვებზე ფიქრი მოაკლდა. აღსაზრდელები აღარა ჰყავს, მაგრამ გვერდით ადამიანები არიან. უდედმამო ნინო შაროვა სწავლას არ მოაცდინა—დღისით რომ ლაბორატორიაში მუშაობდა, საღამოს სკოლაში დადიოდა. ალექსანდრა მელანკოსაც საღამოს სკოლა დაამთავრებინა. ტაისა გარინოვამ მუშად დაიწყო მუშაობა. ქსენიამ ლაბორანტობა შეასწავლა და ახლა რთულ სამუშაოსაც ანდობს. მაყვალა ყაჭეიშვილს პატარა შვილები ჰყავს. ზოგჯერ არის, რომ ბავშვები ავადმყოფობენ ან მათ აღზრდაში დედას დარიგება სჭირდება. არც მაყვალა რჩება უყურადღებოდ.

წარმოება დიდია, კოლექტივი მრავალრიცხოვანი. ლაბორატორია მხოლოდ ერთი საამქროა მისი და 90 თანამშრომელი—მრავალრიცხოვანი კოლექტივის ერთი ნაწილი.

მაგრამ თუ ქარხანაში მოხვდებით, მოწინავეაო, ქსენია მახარაძეზე გეტყვიან.

თვით ქსენია კი გაკვირვებით შეგხვდებათ:

—როგორ, ჩემზე გითხრეს? ჩემზე უკეთესები რამდენია!

იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც სხვების გვჯერა.

## პატარა ხელებით

მე ვფიქრობ 27 წლის მეთამბაქოეზე. ვფიქრობ იმიტომ, რომ იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, მოწინავე ქალია. მანქანის ხმაური არ მიშლის ფიქრს და გზადაგზა ვიმეორებ სოფლების სახელებს: დოლოგანი, მახუხცეთი, პირველი მაისი, ცხემნა...

ქედასაც მივაღწიე.

ახლა აღარ არის შორს ფატი სურგულაძის სოფელი—ზვარე, ცხმორისი, დანდალო, კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

ლამაზი ქალიშვილია ფატი, ჩალისფერი აქვს თმა, ცისფერი თვალები, სახე მზისაგან დაწვია, ყავისფერს გადაიკრავს.

ფატის ახსოვს, ჩადრს რომ ატარებდა დედა. ბალღი იყო და გაზრდის ეშინოდა—მეც ჩადრს ჩამომაფარებენო. ფატის სახე არ დაუფარავს ჩადრს, მის რაიონში კი დიდხანს შემორჩათ ქალებს იგი.

ფატის ლამაზად აცვია, ეტყობა უყვარს სარკის წინ დგომა, სამკაულებიც არ დავიწყნია. მიხარია, რომ ასეთს ვხედავ მეთამბაქოეს.

ფატი თავისთავზე თითქმის არაფერს ამბობს და უკვირს, რატომ ვაძლევ ასეთ დიდ მნიშვნელობას მის შრომას.

—ავდექი და წავედი კოლმეურნეობაში. 15 წლის ვიყავი მაშინ. მომცეს ნაკვეთი, წინასწარ დავამუშავე, მერე დავრგე ჩითილები...

მატყობს, რომ არ მომწონს ნაამბობი, ჩერდება და გაკვირვებული მიყურებს.

—ასე ნუ გააუბრალოე, ფატი, შენი შრომა.

მიცქერის და მერე თავიდან იწყებს:

—მიწას ჯერ დახვნა უნდა. ხვნის დროს ფოსფორი შემქონდა. მერე რგვა იწყება—ახლა ნაკელწყალს ვუსხამდი. რგვა აპრილში დავიწყე, 8 დღის მერე გავთოხნე და აზოტოვანი სასუქი შევიტანე. ამას მოსდევს მეორე გათოხნა...

ის საიდუმლოება კი, რომელმაც სახელი გაუთქვა ფატის, ჩემთვის ჯერ კიდევ აუხსნელია.

მერე მიამბო, როგორ თანდათან შეამცირა მანძილი ჩითილების რგვისას, ამიტომაც წლითიწლობით ნაკლებ ფართობზე მეტი თამბაქო მოჰყავდა.

შარშან 2000 მეტრ ფართობზე 1.568 კილოგრამი თამბაქო მიიღო, წელს კი 1.500 მეტრი ფართობიდან 80 ცენტნერის მიღებას ვარაუდობს.

განა მარტო მას მოჰყავს ასე? სხვებსაც ასწავლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუთბა ჩხუბაძე ხანშიშესული ქალია, ფატი მას შვილად შეჰფერის. იქნებ შვილისთვის არ ეკითხა რჩევა, მაგრამ ფატის პირდაპირ უთხრა: მითხარი, რა იცი.

მერე ნაკვეთში ეწვია ფატის, თავად ნახა ყველაფერი.

და ლუთბა ჩხუბაძემ შარშან 2000 მეტრ ფართობზე 69 ცენტნერი თამბაქო მიიღო.

...გრძნობს, რომ ვუყურებ და თითებს მალავს ფატი.

— ეს ნემსისაგან არის, რამდენიმე ათასი ზონარმეტრი თამბაქო ავნემსე.

მერე შლის ხელს და თვითონაც უყურებს. გრძელი, გამხდარი თითები აქვს ფატის და ვფიქრობ, ბევრ ქალიშვილზე ლამაზიც.

## შეჯიბრება გრძელდება

არაჩვეულებრივი არაფერი იყო იმაში, რომ ბათუმის რაიონის სოფელ ფერიის კოლმეურნეობის ბრიგადირმა საბრიე მესხიძემ შეჯიბრებაში გამოიწვია ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი დარიკო წულუკიძე. და მაინც ყველა ალაპარაკდა მათ საქმეებზე.

...ერთმანეთი არასოდეს უნახავთ. გაზეთებში თუ ამოიკითხავდა ერთი მეორის გვარს. და ერთ დღეს შეჯიბრებაში გამოიწვია საბრიემ დარიკო...

მერე დაიბადა საბრიეს ბრიგადაში აზრი, მსჯელობდნენ ქალები. და გადაწყდა: საბრიეს ბრიგადა ეწვევა ახალსოფელს.

დილის ექვს საათზე ბრიგადის ყველა წევრი პლანტაციაში იყო. არასოდეს არ უკრეფია არც ერთ მათგანს ისე, როგორც იმ დღეს— 25-დან 50 კილოგრამამდე ჩაი მოკრიფა თვითეულმა. 12 საათზე დღიური გეგმა უკვე შესრულებული იყო.

...შორიდან შენიშნეს დარიკოს ბრიგადის ქალებმა სტუმრები. ჩაით სავსე კალათებს თავი ანებეს და ჩამოსულებს შეეგებნენ.

—დარიკო რომელია, რომელი? შენა? მე საბრიე ვარ...

დინჯად ათვალიერებდნენ ერთმანეთს ქალები. მერე გათამამდნენ. მოირბინეს პლანტაცია. ბევრი რამ მოიწონეს. ისიც სთქვეს: ზოგი რამ ჩვენ უფრო კარგად გვაქვსო...

და მერე პეპლებივით ჭრელ კაბებში გამოწყობილმა სტუმრებმა კალათები მოიმარჯვეს, მასპინძლებს გვერდში ამოუდგნენ და სწრაფად გადადიოდნენ ბუჩქიდან ბუჩქზე.

—კაბები დაგესვრებათ...—სწუხდნენ მასპინძლები.

—არა უშავს...—ამბობდნენ სტუმრები.

იმ დღეს 250 კგ ჩაი მოუკრიფეს ფერიელმა სტუმრებმა ახალსოფლელებს. ეს არ იყო შეჯიბრება, ეს იყო მეგობრობის, კეთილი სურვილების დღე.

შეჯიბრება კი გრძელდება...

## ცეკვავს ფატმა კობალაძე

ფატმა, შენს თვალებს რომ გუყურებ, მინდა დაუსრულებლად ვუსმენდე მათ. ისინი ბევრ რამეს მიამბობენ აჭარელ ქალზე.

შავი, დიდრონი თვალები, ხანდახან გრძელი წამწამებით რომ იჩრდილება და მერე ისევ იწყებენ თხრობას.

რა ლამაზია შენი თვალები, ფატმა, მაგრამ უნდა ყურადღებით ვიყო და არ გამომრჩეს ამბავი შენი ცხოვრებისა.

...მამა სამუშაოდან დაბრუნდებოდა და მუხლზე დაგისვამდა.

— რა გამოხვალ, როცა გაიზრდები?—გკითხავდა.

შენ ახალ აჭარაში იზრდებოდი. სკოლიდან რომ მოხვიდოდი, დედასთან გარბოდი ჩაიში. ყველაზე დიდ კალათას დაითრევდი და გვერდით დაუდგებოდი. ის კალათა თითქმის შენი სიმაღლისა იყო, ფატმა... დედასავით შავი გქონდა ხელები ჩაის კრეფისაგან, მერე კი იჯექი და იმ ხელებით წიგნს ფურცლავდი.

დედა ფიქრობდა, რომ შვილი მეჩაიე იქნებოდა. ალბათ, ამას სხვებიც ფიქრობდნენ სოფელში. შენ კი, კრეფას რომ მორჩებოდი, ტოლებისკენ გაიქცეოდი, ან იმღერებდი ან იცეკვებდი მათთან.

ნამდვილი ცეკვა კი ჯერ არ გენახა.

მაშინ არავისთვის გაგიმხელია, ახლა კი სიცილით მეუბნები, როგორ შეიპარე უბილეთოდ კონცერტზე, სადაც გამოჩენილი მოცეკვავის ოსტატობამ დაგატყვევა.

მამა უკვე აღარ იყო ცოცხალი და აღარ გეკითხებოდა: როცა გაიზრდები, რა გამოხვალ, შვილო?



ფატმა კობალაძე

ისე შეხვედი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, მას რჩევას ვერ დაეკითხე. დაამთავრე და პირველი აჭარელი მოცეკვავე ქალი იყავ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. პირველს აჭარელ ქალთაგან შენ მოგანიჭეს ჯერ აჭარის, ხოლო შემდეგ საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

მოიარე საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა და ვერ მეუბნები, სად უფრო მოეწონათ შენი «განდაგანა», «ფარიკაობა», «ნეტავი, გოგო, მე და შენ». ყველას ერთნაირად მოსწონდა ტემპერამენტიანი «ყაზბეგური», ლირიული «სამაია», სახუმარო «თებრონე მიდის წყალზედა», მაგრამ დარბაზი ვერ იტევდა ოვაციას, როცა უკრაინაში ცეკვავდი «ჰოპაკს», ბაქოში—«აზერბაიჯანულს».

მომწონს შენი მყუდრო ბინა, შენი დიასახლისობა, შენი დედობა. შვილების ხსენებაზე თვალები გინათდება და გიხარია, რომ ბიჭი შენ გგავს, გოგო კი შენსავით კარგად ცეკვავს.

ფატმა, მე გნახე შენ სცენაზე. გიხდება საცეკვაო ტანსაცმელი, ირხევა შენი სავსე ტანი და ელავენ შენი თვალები! და ცეკვავს შენი სხეულის ყოველი კუნთი.

32 წლისა ხარ და ორჯერ რომ გავიდეს ოცდათორმეტი წელი, ალბათ, მაინც იტყვიან: მე მინახავს, როგორ ცეკვავდა აჭარელი ფატმა კობალაძე!

**ლია კაკაბაძე,**

**ლია გოგიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის

*(საუბარი ამხ. ა. მელაძესთან)*

«ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს ჟურნალს, სადაც კოსმეტიკაზე და სხვა მისთანებზეა ლაპარაკი, მაგრამ მაშინვე მახსენდება, რომ ჩვენ, დიასახლისებს, ძალიან ცოტა დრო გვრჩება ამისათვის. პირადად მე ვმსახურობ და ოთხი სულისაგან შემდგარ ოჯახს ვუვლი. ერთადერთი კვირა დღეც დასვენების მაგივრად შრომაში მიდის. კვირას ხშირად სარეცხი მაქვს. ასეთი შრომის შემდეგ ხალისიც მეკარგება საკუთარ თავს მივხედო. ნუთუ არ შეიძლება ჩვენს ქალაქშიც მოეწყოს ინდივიდუალური სამრეცხაოები, რომ სარეცხზე არ გვეხარჯებოდეს დასვენების დღე?»—გვწერს დიასახლისი თ. ნაჭყებია.

«სამსახურიდან 6 საათზე ვბრუნდები,—ვკითხულობთ მ. ანჯაფარიძის წერილს,—მერე უნდა წავიდე ბაზარში, მოვიტანო სურსათი და დავამზადო სადილი, ასე რომ, 8 საათზე ადრე იშვიათად ვსადილობთ. რატომ არ შეიძლება ჩვენთან, ისე როგორც მოსკოვში და ლენინგრადში, მოეწყოს საოჯახო სამზარეულოები, სადაც შეუკვეთავ სადილს და სახლში დროზე მოგიტანენ? ეს ხომ დიდად შეამსუბუქებდა ქალის შრომას!»

«თბილისი გოგირდის წყლით მდიდარი ქალაქია. მაშ, რატომ უნდა დავკარგოთ აბანოში მოსახვედრად 6—7 საათი? გოგირდის აბანოსაც რომ თავი დავანებოთ, საშინლად გადატვირთულია თბილისის სხვა აბანოებიც. ნომრის აღება ხომ მთელი პრობლემაა»,—ჩივიან პენსიონერები ნ. ალსაბაძე და თ. ფოცხვერაშვილი.

ასეთი ხასიათის წერილებს ხშირად იღებს რედაქცია.

ქალები გვწერენ აგრეთვე, რომ თბილისში ძნელია ტანსაცმლის გაწმენდა, ქიმწმენდის ფაბრიკა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებთან არ არის შხაპები, საოჯახო მოხმარების საგნების გამქირავებელ პუნქტებში ძნელად იშოვნი ტელევიზორებს, მაცივრებს...

რა ღონისძიებებია დასახული უახლოეს წლებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად? როგორ შეუმსუბუქდებათ შრომა ჩვენს ქალებს? —ასეთი კითხვით მიმართა რედაქციამ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ალექსანდრე მელაძეს. აი რა გვიამბო მან:

ჩვენს დედაქალაქში ახლა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 732 საწარმოა. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერც ისინი და ვერც საზოგადოებრივი კვების საწარმოები თავისი რაოდენობით და მუშაობის ხარისხით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.



ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკეთის სახელოსნოში

პარტია და ხელისუფლება დაუღალავად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებანი — საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ.

ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარდა ჩვენს ქალაქშიც. 1956-1958 წლებში თბილისში გაიხსნა ბევრი კეთილმოწყობილი რესტორანი, საზოგადოებრივი სასადილო, კაფე, სასაუზმე, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკერვისა და შეკეთების ახალი ატელიე, რადიო-აპარატურისა და კულტურული, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების შემკეთებელი სახელოსნოები.

მიმდინარე წლის დასაწყისში მარტო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სისტემაში შედიოდა საზკვების 497 საწარმო, აქედან 15 რესტორანი, 149 სასადილო, 10 კაფე და საჩაიე, 55 სასაუზმე, 266 ბუფეტი.

შვიდწლედის ბოლოსთვის საზკვების საწარმოები თბილისში 80 მილიონამდე კერძს გამოუშვებენ, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ მეტს, ვიდრე 1958 წელს. რიგში ჩადგება კიდევ 250 საწარმო.

1959-1960 წ. წ. ქალაქის შვიდ რაიონში მოეწყობა თითო საოჯახო სამზარეულო, საიდანაც იწარმოებს სადილების სახლში გაცემა, აგრეთვე ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის 10 მაღაზია. 1960 წლიდან განზრახულია მოეწყოს სახლში მანქანებით სადილების მიტანა წინასწარ დაკვეთით.

მარტო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს ხაზით წელს უნდა გაიხსნას საზკვების 30 საწარმო, აქედან 2 რესტორანი, 7 სასადი-



სასაუზმეში

ლო, 2 სასაუზმე-ავტომატი, 1 კაფე-ავტომატი, ორი საოჯახო სამზარეულო, 8 ბუფეტი, ნახევარფაბრიკატების 7 მაღაზია...

უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი: აიგება 6 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 2 ინდივიდუალური სამრეცხაო, ქიმწმენდის და სამღებრო ფაბრიკები, ავეჯის შემკეთებელი ფაბრიკა, რამდენიმე აბანო, 12 საშხაპე და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოები.

წელს ქალაქში უკვე გაიხსნა: ერთი სასადილო, 5 ნახევარფაბრიკატების მაღაზია, 2 სასაუზმე-ავტომატი, 3 ბუფეტი, 12 ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო (ერთერთი მათგანი, ბაღდადის ქუჩაზე, მექანიზებულია), ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკვეთის სახელოსნო (ფალიაშვილის ქუჩაზე), ბავშვთა ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკვეთის სახელოსნო № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკასთან, ტანსაცმლის შეკერვის და შეკეთების 3 ინდივიდუალური ატელიე, 22 საპარიკმახერო, კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგანთა შეკეთების 3 სახელოსნო, 4 ფოტო-ატელიე, ფეხსაცმლის წმენდის 2 პავილიონი.

სარეწაო საბჭომ ღვინის აღმართზე გახსნა საოჯახო მოხმარების საგნების ახალი გამქირავებელი პუნქტი. გამქირავებელმა პუნქტებმა ახლახან დამატებით მიიღეს 70 ტელევიზორი, 35 მაცივარი და 100 სარეცხი მანქანა. პავლოვის ქუჩაზე გამქირავებელ პუნქტთან გაიხსნა მუსიკალურ ინსტრუმენტთა შემკეთებელი სახელოსნო.

ფეხსაცმლის შეკეთების მექანიზებული სახელოსნოს გახსნასთან დაკავშირებით სარეწაო საბჭომ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებთან მოაწყო შესაკეთებელ ფეხსაცმელთა 14 მიმღები პუნქტი.

სარეწაო საბჭოს არტელმა «ტრანსპორტელმა» გახსნა აგრეთვე პუნქტები, სადაც მოსახლეობისაგან მიიღება შეკვეთები ბინების დალაგება-დასუფთავებაზე (იატაკის, შუშების რეცხვა და სხვა).

ოქტომბრის რაიონში გახსნილია ნოხების შემკეთებელი სახელოსნო, არტელ «ავეჯის შეკეთებამ» შექმნა ბინაზე ავეჯის შემკეთებელი ბრიგადები.

მიმდინარე წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა: 4 სასადილო (დავითაშვილის ქუჩაზე, კომინტერნის ქუჩაზე, ავჭალის გზატკეცილზე და ა. წერეთლის პროსპექტზე), კაფე-რესტორანი (ძერჟინსკის სახელობის კლუბთან), ნახევარფაბრიკატების ორი მაღაზია, კაფე-ავტომატი პავლოვის ქუჩაზე, 5 ბუფეტი-პავილიონი, 2 საოჯახო სამზარეულო (კომინტერნის ქუჩაზე და სასტუმრო «თბილისთან»). რეკონსტრუირებულ იქნება და გაფართოვდება რესტორნები — «თბილისი», «დიდუბე», «ვაკე», ასევე გაფართოვდება №88 სასადილო პავლოვის ქუჩაზე.

ეზოებში სასპორტო მოედნების მშენებლობისათვის წელს გამოიყო ნახევარი მილიონი მანეთი, აქედან 1 ოქტომბრამდე ათვისებულია 358 ათასი მანეთი. ახალი სასპორტო მოედნები აშენდა ლენინის რაიონში (2), სტალინის რაიონში (5), კალინინის რაიონში (4), ოქტომბრის რაიონში (2), ორჯონიკიძის რაიონში (4), 26 კომისრის რაიონში (3). წლის ბოლომდე ქალაქში კიდევ აშენდება 10 სასპორტო მოედანი.

საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მომზადდება კვალიფიციური კადრები, გაუმჯობესდება პროდუქტებითა და დამხმარე მასალებით მომარაგების საქმე.

თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყველაფერს გააკეთებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის.

საოჯახო საგნების გამქირავებელ პუნქტთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

წვიმის ხმაური ძობუს ძილში ჩაესმა. ნახევრად მძინარეს სახე გაებადრა. ახლა წვიმა უკვდავების წყარო იყო ყანისათვის. თვალები მოისრისა, ყური მიუგდო და... თოფნაკრავივით წამოვარდა. ეს არ გავდა ჟუჟუნა წვიმას, სიცხისაგან შეწუხებულ სიმინდს მალამოსავით რომ გადაევლება, გამოაცოცხლებს. თითქოს ცამ პირი გახსნა, კოკისპირულად ეშვებოდა წყალი: ნიაღვარს მიჰქონდა ყველაფერი. თვალწინ დაუდგა მის ნაკვეთთან ჩამომავალი არხი, რომელიც შეიძლებოდა ნიაღვარს ქვიშითა და ქვებით ამოეხერგა.

— რატომ ვარ ცოცხალი, გადასული ღვარი ყანას დამიოხრებს, ნავარი.

სწრაფად ჩაიცვა. ჭრაქი მოძებნა. კარები გააღო. კუპრივით შავმა ღამემ შეაკრთო. შემობრუნდა, ერთერთ ვაჟს გავაღვიძებო, მაგრამ დედის გულმა ვერ გაიმეტა, ნაზი სიყვარულით გადახედა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. თოხი და ბარი ვაჟკაცურად გადიდო მხარზე და გზას გაუდგა. ნაკვეთში მისვლამდე კიდეც ირიჟრაჟა. გულისკანკალით მიუახლოვდა, თვალებს არ დაუჯერა—მკლავგაშლილი ვაჟკაცებივით იდგნენ სიმინდები და თითქოს ძობუს ეუბნებოდნენ:

— რამ შეგაშინა, ქალო, ასეთი პატარა წვიმა კი არა, ზღვა რომ გადმოვიდეს ვერაფერს დაგვაკლებს შენი მარჯვენის წყალობით.



გახარებულმა ძობუმ ყანა შემოიარა, ყოველ ძირ სიმინდს შვილივით მიუალერსა, შემდეგ არხში ჩადგა და ღორღის ამოყრა დაიწყო. ფიქრებმა გაიტაცა, წარსული სურათები ერთმანეთს ცვლიდნენ.

— ჯერ ახალგაზრდა ხარ, ვიცი, ცხოვრება გაგიჭირდება,—გაახსენდა მეუღლის მონაწერი.

ძობუ წელში გასწორდა და სივრცეს ხმამაღლა გაეპასუხა:

— ვაი, სულო, როგორ ცდებოდი. შენ იკითხე, რომ მიწა გჭამს, თორემ მე რა მიჭირს.—ცრემლებმა იჩქეფა. თავსაფრის ბოლოთი მოიწმინდა. ღონივრად დაჰკრა თოხი მიწას და კვლავ ფიქრებს მიეცა. ადრე მომწიფდა ძობუ. 15 წლის ასაკში ქალიშვილს გავდა. სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი გოგონა ყველას უყვარდა. ბევრ ახალგაზრდას უძგერდა გული, მაგრამ ძობუსთვის სიყვარული ჯერ უცხო იყო...

ერთ დღეს გოგონები მაყვლის საკრეფად წავიდნენ. ეკლის ბარდმა ძობუს ნაწნავები ჩაიხვია, ვერ იქნა ვერ მოიცილა, ხელები დაისისხლიანა.

თითქოს მიწიდან ამოძვრა, წალდით ხელში ერასტი კუპრეიშვილი გაჩნდა. ერთი მოქნევით ძირში მოკვეთა ბარდი, ძობუს ნაწნავებს ნაზად შეეხო, მერე უნებლიედ ბაგესთან მიიტანა წაბლისფერი თმა, აკოცა და ბარდებში გაუჩინარდა. ძობუ დაიბნა, მთელ სხეულში სიამოვნების უჩვეულო ჟრუანტელი უვლიდა. დიდხანს იდგა გაოგნებული, როცა გამოერკვა, ლოყა ჩამოიხოკა:

— ნანა, რა მიქნა ამ შეჩვენებულმა, რატომ არ ამომხდება სული. ნახავ, რას გიზამს ბაბა!—და სირბილით დაეშვა სახლისაკენ. მამისთვის არაფერი გაუმხელია, მაგრამ ერასტის გაებუტა. გულზე ცეცხლი შემოენთო ვაჟს. თვალით არ ეჩვენებოდა ძობუ. რას წარმოიდგენდა ერასტი, რომ ყოველ დილით ძობუს სიყვარულით სავსე თვალები აცილებდა ყანაში.

...ორი წელი ჩუმად ატარეს სიყვარული. დიდმა გრძნობამ თავისი გაიტანა, შეთანხმდნენ. ქორწილის დღეც დათქვეს; მაგრამ როგორ? ძობუს დედა ცოცხალი თავით არ მისცემდა ერასტის ქალიშვილს. ხშირად მოუსმენია დედის ნათქვამი:

— ღმერთო კი მომკალი! ჩემი სოფლის კაცს და ისიც ყანის მუშას რავა გავატან ქალიშვილს. სიძესთან ფქვილის სასესხებლად რომ მიხვალ და ყოველდღე ჭიშკარზე გამოგივლის, იმას რა ფასი უნდა ჰქონდეს. რა ჯობია შორიდან მოსულ სიძეს! უცხო კაცს მეტი დაფასება და პატივისცემა აქვს. იცოდა დედის სიკერპე: არ დაუთმობდა. გადაწყვიტა გაპარულიყვნენ. აპრილის ერთ ღამეს ძობუს დედის კივილმა სოფელი შეძრა...

ერასტის ოჯახში ბედნიერება და სიხარული შეიტანა ძობუმ. ერასტი დედისერთა იყო. რძალი საკუთარი ქალიშვილივით შეიყვარა დესპინემ. ვაჟკაცივით ედგა ძობუ ქმარს მხარში. სამ წელიწადში ქალ-ვაჟი აჩუქა. მესამეზე ფეხმძიმედ იყო. ოჯახი გაიზარდა. ფიცრული ოდა ეპატარავებოდათ. ხშირად ეტყოდა ერასტი ცოლს:

— ცოტა კიდევ და ორსართულიან ოდას წამოვჭიმავ, მესამე შვილის შეძენა იქ ვიხაროთ...

არ დასცალდათ...

...1941 წელი... ერასტი წავიდა... ძობუმ დიდი სიყვარული გაატანა მფარველად. მთელი ოჯახი 20 წლის ძობუს დააწვა კისერზე. საქმეს არ შეუშინდა. ერასტის ბარათებით ხარობდა. მისი დაბრუნების იმედით უძლეველი იყო ყველა საქმეში. ერასტიც ბარათს ბარათზე გზავნიდა: გამარჯვებული დაგიბრუნდებიო. ვერ გაამართლა დანაპირები. ვაჟკაცი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ძობუს ნაცვლად ცივმა მიწამ ჩაიკრა გულში... მოყვარულმა გულმა იგრძნო უბედურება. ყველას ეხვეწებოდა:

— დედამ არ გაიგოს, დედას არაფერი უთხრათ, უმჯობესია შვილი ცოცხალი ეგონოს და მის მოლოდინში დალიოს სული...

გადიოდა წლები... ძობუ ჯარასავით ტრიალებდა ოჯახში თუ კოლმეურნეობის ფართობში. ვაჟკაცებს აჯობა. სულით არ დაეცა, უფრო გამაგრდა, გაკაჟდა. გულში გადაწყვიტა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატს, თავის ძმას ილარიონ ტყებუჩავას გასჯიბრებოდა.

— მერე რა, რომ ის კაცია და მე ქალი. არც მე მაქვს მასზე ნაკლები ენერგია,—და ჰექტარნახევარი მიწის ნაკვეთი მიიზომა. პირველი ხვნა იანვარში ჩაატარა, წუნწუხი ორჯერ შეიტანა. ორი თოხი დროულად ჩაუტარა. მწკრივში მცენარით ფართობი დატვირთა და არც შერცხვა ძობუ. გასულ წელს ილარიონმა ძობუს შრომის ნაყოფს—სიმინდის ტაროების მთას რომ გადახედა, გული სიამაყით აევსო. ჰექტარნახევარზე 27 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 90 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა და შრომის დანამატის ანაზღაურების სახით 21 ცენტნერი სიმინდი მიიღო, მაინც არ არის კმაყოფილი ძობუ:

— განა შვიდწლედის პირველ წელს ასეთი მცირე მაჩვენებლით უნდა შევხვდე?

გონებიდან არ სცილდება პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგ ხრუშჩოვის ნათქვამი:

— სიმინდს არა ჰყავს თანატოლი კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ერთ ჰექტარ ნათესზე მოსავლიანობისა საკვების ერთეულების და მის დამუშავებაზე დახარჯული შრომის საუკეთესო ანაზღაურების მხრივ.

...კოკისპირულ წვიმას ცხაკაიას რაიონის ახალი სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნოე ცხვიტარიასთვისაც გაეტეხა ძილი, უთენია დაეწყო ფართობების შემოვლა.

ნოეს ფეხდაფეხ მძღოლი იროდიონ ჯოჯუა მოყვა. გამარჯვება უთხრა, ყანას გადახედა და ძობუს შეეკითხა:

— თუ გიყვარდე, მითხარი, მარტო შენ აპირებ ამ ყანის მოტეხვას?!

— რავა, ვერ მოვერევი თუ?

— არ შეგჭამოს ჭირმა. მთელი წელიწადი მოუნდები.—ნოე და ძობუ იროდიონს მიაჩერდნენ, რას ამბობს ეს კაციო.

— რას მომჩერებიხართ? დედა არ მომიკვდეს, მართალს გეუბნებით. ერთი, ძობუ, სიმინდს დაეტოლე, ცერზე თუ შედგები, იქნებ პირველი ტარო მოტეხო, მარა მეორე და მესამე ტაროზე კიბე დაგჭირდება. მე შენ გეტყვი და ვერ დაგიმაგრებს თუ? ამიტომ მე გირჩევ, ჯერ ნოეს კიბეების შეკვეთა მიეცი და ტეხვა მერე დაიწყე.—ყველას გულიანად გაეცინა. იროდიონი არ ისვენებდა:

— არა, ძობუ, ბავშვებს გაფიცებ, მართალი მითხარი, რას უშობი ამისთანა სასწაულს. წინათ ამ ნაკვეთზე ორი ურემი სიმინდი რომ მოსულიყო, რა ბევრი მოვიდაო, იტყოდნენ. შარშან შენი სიმინდის გადაზიდვაში წელი მოვიწყვიტე, წელს, ალბათ, უარესი მომივა.

— აბა რავა გგონია, ჩემო იროდიონ, ცხოვრება წინ მიდის, კომუნიზმს ვაშენებთ, საბჭოთა ქალები უფრო დიდ სასწაულებს ახდენენ...

ძობუ კუპრეიშვილი განა მარტო სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატია? იგი შესანიშნავი მეაბრეშუმეა და საუკეთესო დიასახლისი. დაკრიალებული ეზო, მწკრივში დარაზმული ნამყენი თუთის ხეები, ტოტებდახუნძლული მსხალი და ვაშლი, ორასი ფრთა ფრინველი, მაღალზე წამოდგმული ოდასახლი.

— რასაც ხედავთ, სულ ჩემი ძობუს ხელებმა გააკეთა,—ამბობს სიამაყით 85 წლის დესპინე. იგი აივანზე ზის ფეხმოკეცილი, სახე ულიმის. ოჯახი დოვლათით აქვს სავსე. შვილიშვილები მოესწრო, სამივემ საშუალო განათლება მიიღო. ნელი კიდეც გათხოვდა. უხარია, ძალიან უხარია, ასე რომ აშენდა ოჯახი, მაგრამ მაინც ოხრავს:

— რა იქნებოდა ჩემი ერასტიც უყურებდეს შვილების ბედნიერებას.—ეცოდება ძობუც, ჯერ ორმოცი წლისაც არ არის... იმედს არ კარგავს, ხშირ-ხშირად გახედავს ხოლმე ლარივით გაჭიმულ შარას, იქნებ გამოჩნდეს ჩემი ვაჟკაციო... ძობუმ ხომ უთხრა დაბრუნდებაო, ტყუილი არასოდეს უთქვამს ძობუს...

მადლობის გრძნობით აღსავსე ძობუ კი, გამარჯვებული შეეგება ოქტომბრის დღესასწაულს — ორმოცდაორი წლისთავს, რომელმაც ესოდენ დიდი ბედნიერება და სიხარული მოუტანა საბჭოთა ქალებს...

**ოლია რევია**

8 მარტის 50 წლისთავისათვის

## ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია ემზადება იუბილესათვის

*1960 წელს ფართოდ აღინიშნება 8 მარტის ორმოცდაათი წლისთავი. ამ იუბილემ უფრო მეტად უნდა ჩააბას ქალთა ფართო მასები ქალთა დემოკრატიულ მოძრაობაში.*

*იუბილეს მოსამზადებლად შეიქმნა საერთაშორისო საინიციატივო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციების და ასოციაციების წარმომადგენელნი, ქალთა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები.*

*ყველა კონტინენტის 28 ქვეყნის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს საინიციატივო კომიტეტის სხდომაში, რომელიც შედგა მიმდინარე წლის ივნისში, ქალაქ მალმოში (შვეცია).*

*მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფართოდ აღინიშნოს ეს იუბილე მთელ მსოფლიოში, როგორც დიდი საერთაშორისო მოვლენა.*

## თავისუფლება ესპანელ პოლიტპატიმრებს!

მძიმე, აუტანელ ტანჯვას განიცდიან ესპანელი პოლიტპატიმრები — ქალები და მამაკაცები, რომლებიც მრავალი წელია ესპანეთის საპყრობილეებში იმყოფებიან.

ხალხის წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიების ახალმა ტალღამ მოიცვა მთელი ესპანეთი დღეს, გენერალ ფრანკოს საზიზღარი რეჟიმის მსხვერპლი გახდა ათასობით გაფიცული, რომლებმაც ივნისის დღეებში 24-საათიანი მშვიდობიანი გაფიცვით მტკიცე გადაწყვეტილება გამოხატეს — მიეღწიათ თავისუფლებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის, მიეღწიათ შრომის სწორი ანაზღაურებისათვის და უზრუნველეყოთ ბავშვების ბედნიერი მომავალი.

ასობით მუშა, მოსწავლე, იურისტი, პედაგოგი საპყრობილეებში ჩაყარეს და საშინელი ტანჯვა-წამება მიაყენეს. შურგოს II-ის მთავარ ციხეში პატიმრები ცალ-ცალკე საკნებში ჩაამწყვდიეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოითხოვეს პოლიტპატიმრებისათვის გათვალისწინებული რეჟიმის დაცვა.

პატიმრებს შორის მრავალი ქალია—დედები და სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებსაც მხოლოდ იმაში ედებათ ბრალი, რომ ხმა აღიმაღლეს ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, იბრძოდნენ თავიანთი ბავშვებისა და ხალხის უკეთესი მომავლისათვის.

ესპანეთის ქალთა კავშირი, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისადმი გაგზავნილ წერილში იტყობინება ამ საშინელი რეპრესიების შესახებ და წერს:

,,ჩვენ გთხოვთ ეს ფაქტები მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობისა და მსოფლიოს ქალთა ყურადღების ცენტრში დააყენოთ, რომ სოლიდარობის საერთაშორისო კამპანიის გზით დაეხმარონ ესპანელ ხალხს შინ დააბრუნონ ის ქალები და მამაკაცები, რომლებსაც ახლა ტანჯვა-წამებით სიკვდილი მოელით‘‘.

და მართლაც, მთელი ძალით გაისმა მსოფლიოში მკაცრი პროტესტის ხმა იმ საშინელი რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც გენერალ ფრანკოს მთავრობა ახორციელებს ესპანელი ხალხის მიმართ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია კვლავ მოუწოდებს თავის ეროვნულ ორგანიზაციებს და მსოფლიოს ყველა ქალებს მთელი ძალები დარაზმონ ესპანეთის სამხედრო ტრიბუნალების ლიკვიდაციისათვის და ივნისის დღეებში დაპერილ პოლიტპატიმრების და გადასახლებულების განთავისუფლებისათვის.



# ქალი ქირურგი

ის თავის სამუშაო მაგიდას უზის. ოდნავ წინ იხრება. ასე მგონია, შემეკითხება ახლა:

— რა გაწუხებთ?

მაგრამ მე ვეუბნები, რისთვის ვარ მოსული მასთან. ეღიმება.

— რა გაინტერესებთ ჩემს შესახებ?

მეშინია საუბარი ზედმეტად ოფიციალური არ გამოგვივიდეს. ვიცი ზოგიერთი რამ მისი ცხოვრებიდან. ამიტომ ლაპარაკს მე ვიწყებ.

ის მშვიდად ზის. მერე ცისფერი ძაროვი, ლოყაზე რომ შეუმჩნეველ ჭრილობასავით გასდევს, თითქოს უფრო უმუქდება, მზერა სადღაც ჩემს უკან გადააქვს. უკვე მიხარია, რომ სწორედ აქედან დავიწყე.

... ფინეთის ომი.

ჩიტები ფრენისას იყინებოდნენ იმ შორეულ, 1939 წლის ზამთარში. ყინვა ქვას ზზარავდა, ქარბუქი ნამქერით ავსებდა სადღაც, კეგსჰოლმსა და ვიიპურს შორის, სახელდახელოდ გამართულ საველე ჰოსპიტალის კარვებს. ქარი ეხეთქებოდა ტილოს კედელს და კარავიც თითქოს ცისკენ ასაფრენად იწევდა. კრთებოდნენ რკინის მსხვილ ღერძზე დამაგრებული ელექტრონათურები. ქარი უსტვენდა გულისგამაწვრილებლად და ბაბორიალობდა სახურავზე. სადღაც იქვე, შორიახლოს, სკდებოდნენ საარტილერიო ნაღმები...

კარავში, საოპერაციო მაგიდაზე დაჭრილი ჯარისკაცი კვნესის. დარია ივანეს ასული ბერეჟიანი მოკლედ იძლევა ბრძანებებს. მის გაყინულ ხელებს მისჩერებიან სანიტარი ქალები. ხერხემლიდან ტყვია ამოაქვთ ამ საოცარ ხელებს...

... მძიმე ოპერაცია დამთავრებულია. ექიმი ქალი კუთხისკენ გაიწევს. იქვე, სკამზე ჩამოჯდება. ღრმად, მაგრამ შეუმჩნევლად ამოისუნთქავს. ნიღაბს მოიხსნის. დაჭრილი უნდა გაიყვანონ საოპერაციოდან. დარია მიუახლოვდება და თვითონაც უკვირს, თვითონაც არ იცის, საიდან პოულობს გამამხნევებელ სიტყვებს. ჯარისკაცი ფრთხილად აზიდავს ქუთუთოს, ცრემლი მოადგება თვალს და მაინც იტყვის:

— ეს არაფერია, ექიმო, ჩვენებმა... ჩვენებმა რა ჰქნეს?

რამდენი ჯარისკაცის მზერას შეხვედრია ასე მისი თვალი, ყველას ვერ ჩამოთვლი, ყველას ვერ გაიხსენებ...

— პროფესორო, დაისვენეთ, ასე ძალა გამოგელევათ! — ეტყვის მთავარ ქირურგს ჰოსპიტალის კომისარი, საბჭოთა კავშირის გმირი ბეგოულევი.

— რა ხალხი ხართ! ჯერ ხომ ყველა დაჭრილი არ მინახავს!

და ის ჩქარი ნაბიჯით გაემართება საველე ჰოსპიტალის კარვებისაკენ.

კარვები გაუვალ ტყეშია შეფენილი...

* * *

... ის იზრდებოდა გურიაში, ქ. ოზურგეთში. იზრდებოდა ჩვეულებრივად. დებისგან თითქოს არაფრით განსხვავდებოდა. დედა ბოსტანს ჩაჰკირკიტებდა, საღამოს კი გაზეთს მაინც წაიკითხავდა მამასთან ერთად. გაეცინებოდათ, 1897 წელს მათთვის რომ გეთქვათ: აი, ეს თქვენი ციცქნა დოქუშა საქართველოში მედიცინის მეცნიერებათა პირველი დოქტორი ქალი იქნებაო.

რომ წამოიზარდა, უფროსმა დებმა წაიყვანეს ქუთაისში. შემდეგ ბათუმში. იქ დაამთავრა გიმნაზია.

პირველად მაშინ გაუკვირდათ დოქუშასი, უცებ, შუა ზამთარში, სოფელ ციხისფერდში რომ წავიდა მასწავლებლად...

მერე ვეღარ ისვენებდა. სჯეროდა, თავს არ უტყდებოდა, თორემ სჯეროდა — აუსრულდებოდა ნატვრა, აუხდებოდა ოცნება.

...თბილისის საოლქო სასამართლოს პატარა ოთახში იჯდა ქალიშვილი და საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდა, თითები მექანიკურად მოძრაობდნენ. ფიქრით იყო სხვაგან. იქ, საავადმყოფოში, თეთრხალათიანებთან, საოპერაციო დანით ხელში.

1917 წელი... საღამოობით ახლანდელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში გამართულ ჰოსპიტალში გარბოდა, ჯარისკაცებს ანბანს ასწავლიდა. დაჭრილებს შეუმჩნევლად ადევნებდა თვალს. ჩუმად ჭრილობის ამბებსაც გამოჰკითხავდა ხანდახან...

და როცა ქალთა კურსებზე სამედიცინო ფაკულტეტი გაიხსნა, დოქუშა პირველი მივიდა იქ. ლუკმაპურისთვის კი მუშაობდა, მუშაობდა და სწავლობდა ჯიუტად. ღამე გაეღვიძებოდა ხანდახან და ჩაესმოდა ვიღაცის დამცინავი ხმა:

— ქალი და ქირურგი?!

ლოგინიდან წამოიწევდა, ტუჩებს ჯიუტად მოკუმავდა. ისევ წიგნს აიღებდა ხელში...

შევებით ამოისუნთქავდა უნივერსიტეტში, როცა ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის კარებს შეაღებდა, პროფესორ კახიანის მშვიდ, იმედიან მზერას დაიჭერდა — უკვე სჯეროდა, თავისი თავის სჯეროდა და იწყებოდა დღე, ახალი ძიებით და იმედით სავსე დღე...

...უკან დარჩა პროფესორ მაჭავარიანთან მუშაობის სამი წელი, სამკურნალო ექსპედიციები აჭარაში, რის შედეგადაც დაიწერა მნიშვნელოვანი შრომა — «ჩიყვისა და ჩიყვიანობის გავლენა ქალთა სასქესო ორგანოების ფუნქციაზე აჭარაში.»

* * *

... ბედნიერებაა თუ გაქვს რაიმე მოსაგონარი, კეთილად მოსაგონარი. მოგონებები წლებზე, თუ რაღაც ახალი გაიგე, შეიცანი, თუ გაგზარდა და გამოგაწრთო ამ წლებმა. თუმც ისინი, ეს მოგონებები, პატარა სევდას მაინც მოგგვრიან. მოგონებებია და, ალბათ, იმიტომ...

ვუყურებ ამ უკვე ჭაღარაშერეულ ქალს. თვალებში ნაპერწკალი უკრთის. მაინც სევდა, ოდნავ შესამჩნევი სევდა ჩანს შიგ — წლები მიდის... ის მაჩვენებს თავისი მასწავლებლების, კოლეგების, პროფესორ ჯანელიძის, აკადემიკოს ვიქტორ შევკუნენკოს, ალექსეი სპერანსკის, ბორის დონიკო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველაფერი შენია, შენი ტოლების—ეს მთა. ეს ქალაქი მთის ძირას. შენობის საძირკველიც თქვენთვის ჩაჰყარეს, ეს სახლიც თქვენთვის გადახურეს. აქ საბავშვო ბაღია, იქ ბაგა უფრო პატარებისთვის. ლამაზი შენობა კი, ყველაზე ძლიერ რომ მოგწონს; შენი სკოლაა. დედას ხელჩაკიდებული დაჰყავდი. ახლა მარტო დადიხარ. ახლა ისე დიდი ხარ, პოლონეთშიც იყავი ჩვენი მეგობრობის დღესასწაულზე.

გნახეს და მოგისმინეს სიამოვნებით. მერე ისიც გაიგეს უსიტყვოდ, რომ შენს ქვეყანაში ყველაფერი შენია, შენისთანების ეს მთა, ეს ქალაქი მთის ძირას...

ქალაქს თბილისი ჰქვია. თბილისში ყველა ქუჩა კარგია და ყველა შენობა ლამაზი. მაინც ერთი ქუჩა ყველაზე მეტად გიყვარს, სადაც სახლი დგას, 7 წლის ნაცნობი—ცენტრალური მუსიკალური სკოლა.

*ნორჩი მევიოლინე ლიანა ისაკაძე*

ვის ფოტოებს. დროისგან გაყვითლებული, გაცვეთილი სურათებიდან მიცქერიან ჩემთვის უცხო სახეები. და მე იმაზე ვფიქრობ, რა ახლობელია ეს სახეები ამ ქალისთვის, ახლა ჩემთან ერთად რომ ათვალიერებს ძველ სურათებს და ისე უყურებს, თითქოს პირველად ხედავდეს მათ.

მერე სურათებს ფრთხილად დააწყობს და მოგონებებით მოივლის ამ სახელგანთქმულ მეცნიერებთან ლენინგრადში გატარებულ წლებს. მათი მეგობრობის შედეგი იყო დარია ბერეჟიანის შრომა—«ჭიაყელა ნაწლავის ინერვაცია და მისი ცვლილებები ანთებადი პროცესების დროს.» ასეთი მნიშვნელოვანი საკითხით წარსდგა 1935 წელს თბილისში, საჯარო პაექრობაზე ახალგაზრდა მეცნიერი ქალი მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად...

მერე, პროფესორ ალ. წულუკიძესთან ასისტენტად მუშაობის დროს, საველე ქირურგიამ გაიტაცა და გააგზავნეს ლენინგრადის კიროვის სახელობის სამედიცინო აკადემიაში. მალე მისცეს კიდეც დოცენტურა საველე ქირურგიისა პედიატრიულ და სანჰიგიენის ფაკულტეტზე.

დადგა 1939 წელი და დარია მოხალისედ მიდის ფინეთის ფრონტზე... წითელი ვარსკვლავის ორდენი იყო ქირურგ ბერეჟიანის ჯილდო. ეს მადლობა იყო გატეხილი ღამეებისათვის, ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის, იმისათვის, რომ გავიმარჯვეთ.

1941 წელმა კი თბილისში მოუსწრო.

... ქალაქის პირველი საავადმყოფოს მე-9 ქირურგიული განყოფილება... და ადამიანები, ომის ქარცეცხლით გაწამებული ადამიანები ჯარისკაცის ფარაჯებში...

ისევ ტყდება ღამეები, ისევ გაუთავებელი სიჩუმე თეთრი პალატების, ისევ ცრემლი, ხან ღიმილი, მადლიერი ღიმილი ჯარისკაცის. იყო უამრავი წერილები, სამკუთხედად მოკეცილი, ჯარისკაცის წერილები. «ძვირფასო დარია ივანოვნა, დიდი მადლობა», «ძვირფასო, თქვენ გადაარჩინეთ ჩემი ერთადერთი ვაჟი»...—იწყებოდნენ ასე, იწყებოდნენ თითქოს ჩვეულებრივი სიტყვებით...

ეს უკაჟებდა ნებისყოფას, ეს აძლევდა ძალას ეთქვა მომაკვდავი ადამიანისათვის: «შენ იცოცხლებ!»

და კიდევ ის, რომ ყოველი ოპერაციის შემდეგ ეძებდა ჯარისკაცის ძალაგამოლეული ხელი ქალის ძლიერ და ნაზ ხელს, დარია ბერეჟიანის ხელს.

1945 წელი. მეცხრე ქირურგიული განყოფილება ისევ მესამე განყოფილებად გადაიქცა. პროფესორ ბერეჟიანს გაეღიმება და იტყვის: აღარასოდეს გადაკეთდებოდესო მეცხრედ, არასოდეს მოადგებოდესო რუხფარაჯიანი ჩვენს საავადმყოფოს.

... თავის შესახებ კიდევ შეუძლია მითხრას ბევრი, მითხრას, რომ არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე... მეტყვის, როგორ უყვარს თეატრი, ხელოვნება, როგორ გარბოდა ვანო სარაჯიშვილთან ერთად სობინოვის კონცერტზე, რომ მისი მეგობარია დავით ანდღულაძე, რომ, ამას წინათ, პატარა ბავშვივით შეიპარა ვახტანგ ჭაბუკიანის «ოტელოზე».

* * *

საათს დახედავს. 11 საათზე შემოვლა იწყება. თეთრ ხალათს მომაჭურავს, ექიმებს თავს მოუყრის და წინ გაგვიძღვება. პირველად ახლად მოყვანილებთან მივა, დაწვრილებით გამოკითხავს, გასინჯავს.

— შენ კიდევ არ წახვედი აქედან?—გაუცინებს ვილაცას და იქვე სკამზე ჩამოჯდება. ნაოპერაციევს დახედავს, ექიმებს მოეთათბირება.

... ძლიერი დამწვრობით წევს გოგონა. დათუთქული და შეშუპებული ხელები, ფეხები, მთელი ტანი. ტკივილისგან გატანჯული სახე... დაინახავს პროფესორ ბერეჟიანს და იღიმის, ერთი წუთით, მაგრამ მაინც იღიმის. პროფესორი დიდხანს ზის მასთან, მოთმინებით უხსნის. როგორ გაშალოს მუხლი.

— ცოტა კიდევ, ცოტაც... ასე... ხომ შეგძლებია!

და როცა მოშორდება გოგონას, მორიგე ექიმს ეტყვის:

— სულ ვერ შლის. გაუკეთეთ აბაზანა, აუცილებლად. იყვიროს, იჭიჭყინოს, მაგრამ ფეხი უნდა გავუშალოთ!

ყველა საწოლთან მივა და ყველას სითბო ჩაუდგება მაშინ თვალებში.

... ისევ თავის სამუშაო მაგიდას უზის. თითქოს ყველაფერი ვკითხე. მიპასუხა. მაგრამ მოიგონებს კიდევ თავის აღზრდილებს და აღსაზრდელებს. ლაპარაკობს, და თითქოს ახლა მასთან არიან: პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე, გიგო ბოკერია, დათიკო გელოვანი, შალვა ღურწკაია, თინა ერისთავი და ბევრი, ბევრი სხვა. თვითეულზე შეჩერდება, თვითეულის გზას ხელმეორედ გაივლის და მერე იმათ მოიგონებს, მერე მათთან მივა, ვინც მხოლოდ შარშან, შარშანწინ მოვიდა სამედიცინო ინსტიტუტში, ვინც ახლა ადგას ამ ძველ და მაინც ყოველთვის ახალ გზას, ვინც ახლა იწყებს ექიმის პროფესიის დაუფლებას.

* * *

... აუდიტორიაში შევა პროფესორი. შევა ქალი, ქირურგი—დარია ბერეჟიანი. შევა მკაცრად. გაინაბებიან მერხებთან ქალიშვილები და ჭაბუკები და არ იტყვიან გაკვირვებით:

«ქალი და ქირურგი?!».

**ლია მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მათ ასახელეს ჩვენი რესპუბლიკა

# საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს





საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 7 ათასი ტონა ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულება. სახელმწიფოს სულ ჩაბარდა 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 33 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

ეს შესანიშნავი წარმატებანი მიღწეულია იმის შედეგად, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები თავდადებით შრომობენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს და ყველა მშრომელს ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებასა და სახელმწიფოსათვის მის მიყიდვაში მოპოვებულ წარმატებებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები მიაღწევენ ახალ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში.

*საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი*

*სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო*









ეროვნული ბიბლიოთეკა





ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 10 წლისთავის ზეიმის დღეებში საქართველოს ქალთა აქტივმა, მთელი საქართველოს ქალების სახელით, მილოცვის წერილი გაუგზავნა ჩინელ დებს.

ჩინეთიდან მიღებულია საპასუხო წერილი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

## ძვირფასო მეგობრებო!

ნება გვიბოძეთ ჩინეთის ქალთა სახელით გადმოგცეთ გულწრფელი მადლობა თქვენი მეგობრული, გულთბილი მილოცვისა და სურვილებისათვის ჩვენი ხალხის დიადი დღესასწაულის—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 10 წლისთავის გამო.

თქვენმა ბარათმა დიდი სიხარული და სიამოვნება მოგვანიჭა.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენი წინსვლა, ჩვენი ინდუსტრიული პროგრესი ამ ათი წლის მანძილზე დაკავშირებულია იმ უანგარო დახმარებასთან, რასაც გვიწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ძმური სოლიდარობისა და თანამშრომლობის განუწყვეტელი განმტკიცება საბჭოთა კავშირის მეთაურობით, უზრუნველყოფს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ჩვენი ქვეყნების სახალხო მეურნეობაში, დააჩქარებს ჩვენს წინსვლას საერთო მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

დაე, მარად ცოცხლობდეს და ძლიერდებოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობა!

კიდევ და კიდევ გმადლობთ თქვენი გულითადი მილოცვისათვის.

მხურვალე სალმით—

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა ეროვნული ფედერაცია.

ქ. პეკინი. 17 ოქტომბერი, 1959 წელი.



# საბავშვო ბაღი



**ა. კუპრინი**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი დ. ერისთავი

ილია სამუელის ძე ბურმინი უფროს მწერლად მუშაობდა ობოლთა სასამართლოში. დაახლოებით ორმოცდაათისა დაქვრივდა იგი და შვიდი წლის გოგონა დარჩა. საშენკა შეუხედავი, გამხდარი და ფერგაცრეცილი ბავშვი იყო. მისხალ-მისხალ იმატებდა და ისე ცოტას ჭამდა, სადილზე ან მგლით უნდა შეგეშინებინათ, ან ბუხრის მწმენდავით, ან კიდევ პოლიციელით. დიდი ქალაქის აურზაურში იგი მჭკნარ ბალახს ჰგავდა, სწორედ ისეთს, ღვთის ანაბარა რომ იზრდება ქვის ძველ ნაგებობათა ნაპრალებში.

ერთხელ იგი ავად გახდა, მისი ავადმყოფობა იმაში გამოიხატა, რომ მთელი დღეობით მდუმარედ იჯდა ოთახის ბნელ კუნჭულში, ყველაფრისადმი გულგრილი, ჩუმი და ნაღვლიანი. ბურმინის შეკითხვაზე: «საშენკა, შვილო, რა მოგივიდა... საშენკა...» იგი საწყალი ხმით პასუხობდა: «არაფერი, მამა, უბრალოდ მომწყინდა».

ბოლოსდაბოლოს ბურმინმა გადაწყვიტა მოეხმო მათ პირდაპირ მცხოვრები ექიმი. ექიმი ჩავიდა სარდაფში, სადაც ბურმინს მარჯვენა ბოლო კუთხე ეჭირა, და თავისი ენოტის ქურქის ჩამოსაკიდებლად დიდხანს ეძება ადგილი, მაგრამ რაკი ყველგან ნესტი და ჭუჭყი იყო, აღარც გაუძვრია. მის შორიახლო შეჯგუფდნენ იმავე სარდაფის მობინადრე დედაკაცები და ნიკაპზე ხელშედგმულნი საცოდავი თვალებით შესცქეროდნენ ექიმს და ოხრავდნენ, როცა ესმოდათ სიტყვები: «აქატია», «ანემია», «რაქიტული აგებულება».

— მას კარგი კვება სჭირდება, — მკაცრად განაცხადა ექიმმა, — მსუქანი ბულიონი, ძველი პორტვეინი, ახალი კვერცხი და ხილი.

— დიახ, დიახ... ასეა, გასაგებია, ასეა, — უდასტურებდა აქაც, ობოლთა სასამართლოში თავისი უფროსების მამებლობას დაჩვეული ილია სამუელის ძე.

ამასთან იგი მწუხარედ მისჩერებოდა ფანჯრის მწვანე მინებს და დამტვერილ ნემსიწვერას, ნელნელა რომ ჭკნებოდა ჩახუთულ სარდაფში.

— მთავარი კი სუფთა ჰაერია. თქვენს ქალიშვილს განსაკუთრებით ვურჩევდი ყირიმის სამხრეთ სანაპიროსა და ზღვის აბაზანებს...

— დიახ, დიახ, დიახ... გასაგებია, გასაგები...

— და ყურძნით მკურნალობას...

— დიახ, დიახ, ყურძნით...

— ხოლო მთავარი კი, ვიმეორებ, სუფთა ჰაერი და გარეთ, ბუნებასთან ახლო ყოფნაა... შემდეგ, მაპატიეთ... ძალზე დაკავებული ვარ... ეს რა არის? არა, არა... არ ვიღებ... უფასოდ... ღარიბებს ყოველთვის უფასოდ... ნახვამდის...

მისი ქალიშვილის საკეთილდღეოდ ილია სამუელის ძისათვის ხელის მოკვეთა რომ მოეთხოვათ (ოღონდ მარცხენასი, მარჯვენათი უნდა ეწერა), ერთი წუთითაც არ დაფიქრდებოდა. მაგრამ ძველი პორტვეინი და... 18 მანეთი და 33 ნახევარი კაპიკი ხელფასისა...

გოგონა ქრებოდა.

— აბა მითხარი, საშენკა, მითხარი, ჩემო ფისო, რას ინდომებდი? — ეკითხებოდა ილია სამუელის ძე შვილს და სევდით ჩასცქეროდა მის დიდ ჭკვიან თვალებს.

— არაფერი არ მინდა, მამიკო...

— დედოფალა გინდა, შვილიკო, დიდი, თვალხუჭუნა დედოფალა?

— არა, მამა. მომ-წყინ-და...

— ფოჩიანი კამფეტი გინდა? ვაშლი? ყვითელი ფეხსაცმელი?

— მომწყინდა...

მაგრამ ერთხელ მას პატარა სურვილი გაუჩნდა. ეს მოხდა გაზაფხულზე, როცა მზისაგან აჭრელებულ მწვანე მინის იქით დამტვერილი ნემსიწვერა გამოცოცხლდა.

— მამიკო... ბაღში მინდა... წამიყვანე ბაღში... იქ... მწვანე ფოთლებია... ბალახი... ისეთი, როგორიც ნათლიას ბაღშია... წამიყვანე ნათლიასთან, მამიკო...

იგი მხოლოდ ერთხელ იყო ბაღში, ორიოდე წლის წინათ, როცა ორი დღე გაატარა აგარაკზე ნათლიდედასთან, მომრიგებელი მოსამართლის მწერლის ცოლთან... მას, ცხადია, არ ახსოვდა, როგორ სენსაციურად უტრიალებდა მწერლის ცოლი ცხვირწინ თავის ნათლულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ცარიელ ჭიქებს და როგორ განზრახ ხმამაღლა, სცენიური a part* ტონით, ბუზღუნებდა იგი ტიხარს იქით ყველა ოხერსა და გუდამშიერზე, რომელიც და ასე შემდეგ...

— ნათლიასთან მინდა, მამიკო, ბაღში...

— კარგი, კარგი, შვილიკო, ოღონდ ნუ იტირებ, ჩემო ფისუნია. აი გამოიდარებს და ბაღშიც მაშინ წახვალ...

როგორც იქნა გამოიდარა და ბურმინი ქალიშვილთან ერთად საერთო ბაღში წავიდა. საშენკა თითქოს გაცოცხლდა. მან, რასაკვირველია, ვერ გაბედა მონაწილეობა მიეღო სილისაგან კატლეტებისა და გემრიელი ნამცხვრების გაკეთებაში; მაგრამ დაუფარავი სიამოვნებით შესცქეროდა სხვა ბავშვებს. ბაღის მაღალ სკამზე მჯდარი, იგი ისეთი ფერგაცრეცილი და ავადმყოფური ჩანდა ამ ლოყაწითელ, ფერხორციან ბავშვთა შორის, რომ ერთმა ჩასუქებულმა და მკაცრმა ქალბატონმა, მის გვერდით ჩავლისას თითქოს ბებერ, დაბურულ ცაცხვს მიმართაო, წარმოთქვა:

— მიკვირს, ღმერთმანი, რას უყურებს ეს პოლიცია?... ბაღში ავადმყოფ ბავშვებს უშვებენ... რა საძაგლობაა! ხომ შეიძლება მათ სხვებიც გასვარონ...

მკაცრი ქალბატონის შენიშვნა, რა თქმა უნდა, ვერ დააკავებდა ილია სამუელის ძეს იმ კმაყოფილებისაგან, ერთხელ კიდევ ეხილა ქალიშვილის სიხარული, მაგრამ საუბედუროდ, ქალაქის ბაღი ძალზე შორს იყო რაზბოინის ქუჩიდან. გოგონას ასი საჟენის გავლაც არ შეეძლო ფეხით, «კონკა» კი იქით-აქეთ ორივეს უჯდებოდა 44 კაპიკი. ესე იგი, ილია სამუელის ძის დღიური ჯამაგირის ნახევარზე მეტი. ამიტომ მხოლოდ კვირადღეობით მიდიოდნენ.

გოგონა სულ უფრო უძლურდებოდა, ბურმინს კი არ ასვენებდა ენოტის ქურქიანი ექიმის სიტყვები ჰაერისა და სიმწვანის შესახებ.

«ახ, ნეტავი მოგვცა ჰაერი, ჰაერი, ჰაერი!»—ასჯერ და ათასჯერ იმეორებდა თავისთვის.

ამ აზრს თითქმის სიგიჟემდე მიჰყავდა იგი.

მისი სარდაფის პირდაპირ გაშლილიყო ქალაქის ფართობში შემავალი ვეებერთელა უკაცრიელი მინდორი, სადაც ობივატელთა ღორები ხან მტვერში და ხან ტალახში გორაობდნენ. ილია სამუელის ძე ისე ვერ ჩაუვლიდა ამ უკაცრიელ ადგილს, რომ ღრმად არ ამოეოხრა.

— აბა, რა იქნება, რომ აქ გააშენონ თუნდაც ერთი პაწაწკინტელა სკვერი.—ჩურჩულებდა იგი და თან თავს აქნევდა,—ბავშვებისათვის, ბავშვებისათვის, რა კარგი იქნება, ბატონებო!

როგორც იდეის ჭეშმარიტი ფანატიკოსი, დაქროდა იგი ყველგან ამ უკაცრიელი ადგილის გარდაქმნის გეგმით. სამსახურში მას «უკაცრიელაც» კი შეარქვეს. ერთხელ ილია სამუელის ძეს კიდეც ურჩია ვიღაცამ:

— თქვენც დაგეწერათ პატარა პროექტი და გადაგეცათ ქალაქის სათათბიროსათვის...

— მართლა?—გაეხარდა და თან შეშინდა ილია სამუელის ძე.—სათათბიროსთვისო, თქვენ ამბობთ?

— სათათბიროსთვის. სულ უბრალო საქმეა. დაწერთ, მავანი და მავანი, ობივატელის წოდებისა... საერთო სარგებლობისათვის, ასე ვთქვათ, ქალაქის გასალამაზებლად. ასე და ამგვარად.

ერთ თვეში პროექტი დაიწერა, პროექტი—გაუმართავი, უცოდინრად, არეულად დაწერილი, შესაბრილისად გულუბრყვილო. მაგრამ მისი კალიგრაფიული ასოს თვითეულ შტრიხს რომ უეცრად შესძლებოდა ამეტყველება ისეთივე დიდი იმედით, როგორითაც გამოჰყავდა ილია სამუელის ძეს ყოველი ასო ქაღალდზე, მაშინ უეჭველად ქალაქის თავიც, თვითმმართველობაც და ხმოსნებიც მთელ მიმდინარე საქმეებს უეჭველად გვერდზე მიაგდებდნენ, რომ დაუყოვნებლივ განეხორციელებინათ ეს არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი პროექტი.

მდივანმა უბრძანა მოსულიყო ერთი თვის შემდეგ, მერე ერთი კვირის, მერე ისევ ერთი კვირის შემდეგ. ბოლოს მან ბურმინს კინაღამ ცხვირში ატაკა ქაღალდი და დაუყვირა:

— აბა ერთი რას ეჩრებით? რას? რას? რას? ეს თქვენი კი არა, ქალაქის თვითმმართველობის საქმეა.

ილია სამუელის ძემ თავი ჩაქინდრა. «თვითმმართველობა»,—მწუხარედ ჩურჩულებდნენ მისი ტუჩები...—აი რაში ყოფილა საქმე. თვით-მმართ-ვე-ლო-ბა!»

მერე უეცრად მკაცრად ჰკითხა მდივანმა, სად მუშაობო. ბურმინი შეშინდა და პატიება სთხოვა. მდივანმა აპატია. ბურმინმა მოჭმუჭნა ქაღალდი და სასწრაფოდ გაეცალა სათათბიროს.

მაგრამ მარცხმა ვერ ჩაკლა მასში პროპაგანდისტის უნა-



---

* გვერდზე, თავისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი. მხოლოდ ახლა, უმზეობითა და უჰაერობით ჩამომხმარ საშენკას სახეს მის გონებაში ასობით სხვა ბავშვის სახე შეერწყა. ისინიც ხომ მისი შვილივით ღაფავდნენ სულს სარდაფებში და სხვენებზე. ამიტომაც იგი დაჟინებით ცხადდებოდა თავისი პროექტით ხან პოლიციაში, ხან სამხედრო უწყებაში, ხან მომრიგებელ მოსამართლეებთან და კერძო ქველმოქმედებთან. და, რა თქმა უნდა, მას ყველანი აძავებდნენ.

ბურმინის ერთი თანამშრომელი, ასლების გადამღები ციტრონოვი საზოგადოებაში გამოსულ კაცად ითვლებოდა, რადგან ტრაქტირ «იუგში» დადიოდა და ერთადერთ საქალაქო გაზეთს «უცოდველს» კითხულობდა. როგორღაც მან ხუმრობით თუ სერიოზულად უთხრა ილია სამუელის ძეს:

— იმ უკაცრიელი ადგილის შესახებ ერთი კარგი ფელეტონი რომ გამოცხვეს, მაშინ საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა... თქვენ არასოდეს არ წაგიკითხავთ «მორიელის» ფელეტონები?.. როგორ უჭრის კალამი! ხატავს პირდაპირ: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ამაყად დადის და მარცხენა მხარი მარჯვენაზე ოდნავ მაღლა დააქვს... ღვარძლიანი ვაჟბატონია!

გულისფანცქალით შეაღო ილია სამუელის ძემ რედაქციის კარები (სათათბიროში უფრო თამამად შევიდა). დიდ ოთახში, სადაც რეზინისა და სტამბის საღებავების სუნი იდგა, მაგიდას უსხდა ხუთი თმაგაჩეჩილი მამაკაცი, ყველანი გაზეთის უამრავი გროვიდან სჭრიდნენ რაღაც ოთხკუთხა ნაკუწებს და რატომღაც ქაღალდზე აწებებდნენ.

როგორ არ ეცადა ილია სამუელის ძე ეჩვენებინათ მისთვის «მორიელი», არაფერი გამოუვიდა.

— ჯერ გვითხარით, რისთვის გინდათ იგი?—ეკითხებოდნენ თმაგაჩეჩილი კაცები.—განა არ იცით, რომ თანამშრომლის ფსევდონიმი რედაქციის საიდუმლოებაა?

მაგრამ, როცა ილია სამუელის ძემ მათ უამბო თავისი საოცნებო პროექტის შესახებ, ისინი გულახდილნი გახდნენ და მფარველობა აღუთქვეს ბურმინს.

საშენკა უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი. იწვა გაფითრებული, გაჭიმული, მიცვალებულივით გაცრეცოდა პატარა ცხვირი.

— ბაღში მინდა, მამიკო, ბაღში, მომწყინდა, მამა,— იმეორებდა იგი ნაღვლიანად.

იქნებ მის ავადმყოფ ორგანიზმს ინსტიქტურად სწყუროდა სუფთა ჰაერი, როგორც რაქიტული ბავშვები ჭამენ ხოლმე ცარცსა და კირს შეუგნებლად.

ბურმინი ცდილობდა კოცნით გაეთბო შვილის გამხდარი, ცივი ხელები, ეჩურჩულებოდა ისეთ მოულოდნელ, გულისამაჩუყებელ სიტყვებს, რომლებიც სასაცილონი ხდებიან სხვების გადმოცემის დროს.

გაზაფხულზე, როცა დამჭკნარმა ნემსიწვერებმა ისევ მზისაკენ გაიწიეს, საშენკა მოკვდა. სარდაფის დედაკაცებმა განბანეს იგი, გამოაწყვეს და ჯერ მაგიდაზე დაასვენეს, შემდეგ – კუბოში. ილია სამუელის ძე თითქოს გაქვავდა. იგი არ ტიროდა, არაფერს ამბობდა, და თვალს არ აცილებდა პატარა გაფითრებულ სახეს.

მხოლოდ დაკრძალვის დღეს, როცა საცოდავმა პროცესიამ უკაცრიელ მინდორს ჩაუარა, ბურმინი ოდნავ გამოცოცხლდა. მინდორზე ოციოდე მუშა გამოსულიყო და ბარებით მიწას ჩიჩქნიდნენ.

— რაშია საქმე?—ჰკითხა ბურმინმა სარდაფში მის მეზობლად მცხოვრებ იაკოვლევნას, ბაზარზე თევზით მოვაჭრე დედაკაცს.

— აბა, რა ვიცი,—უპასუხა იაკოვლევნამ, რომელიც ცხარე ცრემლს ღვრიდა,– ამბობენ, ბაღი უნდა გააშენონო, სათათბირომო, თუ რა ქვია იმას...

— ილია სამუელის ძემ ამოიხვნეშა, პირჯვარი გადაისახა, და მკერდიდან შეუოკებლად ამოსკდა ხმამაღალი, შვებისმომგვრელი ქვითინი.

— ძლივს! მადლობა უფალს, მადლობა უფალს,—თქვა მან და იაკოვლევნას გადაეხვია,—ახლა ჩვენს ბავშვებსაც ექნებათ თავისი ბაღი. თორემ, აბა, სად შეგვიძლია ჩვენ, იაკოვლევნა, «კონკით» მგზავრობა? ხუმრობა ხომ არაა— ორმოცდაოთხი კაპიკი იქეთ და აქეთ!

თარგმნა **მაყვალა ჭიჭინაძემ**

---

# არ გეწყინოთ, გეთაყვა

მხოლოდ მამაკაცებისათვის

*სამსახურში შენ ფართოდ გაგიშლია კრიტიკა და თვითკრიტიკა. მაგრამ რატომ ხდება ისე, რომ სახლში სიტყვის შებრუნებასაც ვერ იტან და ცოლის ყოველ მცირე შენიშვნას აგრესიულად ხვდები?*

*შენც ხომ არ ეკუთვნი იმ მამაკაცთა რიცხვს, რომელთაც მხოლოდ სხვისი ცოლის დიასახლისობა მოსწონთ, სხვისი ცოლის ჩაცმულობა და გემოვნება, საკუთარი ცოლის ღირსებებს კი ვერასოდეს ვერ ამჩნევენ?*

*იქნებ, შენს ოჯახშიც ტრაღედიად იქცევა ცოლის მივლინებაში გამგზავრება?*

*იცი თუ არა შენ, რომ პაპიროსის მოწევა არ შეიძლება იმ ოთახში, სადაც ბავშვს ძინავს?*

*შენ სამსახურში გაგაბრაზეს. არ ჯობია, შენი ცუდი განწყობილება იქვე დატოვო? აბა, გულზე ხელი დაიდე და... რა შუაშია ცოლი ან სიდედრი?*

*გასულ კვირადღეს შენ ცოლს ბაზარში წაჰყოლიხარ. მშვენიერი წამოწყებაა! მაგრამ, ნეტავ, არ მენახე! მძიმედ დატვირთული შენი ცოლი, ორი უზარმაზარი ჩანთით აქეთ-იქით ხელში, ძლივს მოდიოდა, შენ კი ერთი პატარა ქაღალდის პარკუჭი დაგეჭირა. იმიტომ ხომ არა, რომ შიშობდი—ხელჩანთას არ შეელახა შენი მამაკაცური ღირსება?*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის ბიბლიოთეკარი

შემოდგომამ დაიბერტყა თავისი მადლიანი კალთა. აცივდა. ფოთოლცვენა შეეპარა ხეებს. გახშირდა წვიმა, გატკბა ცეცხლი და ბუხარი.

გომში, სამტრედიის რაიონის ამ პატარა და ლამაზ სოფელში, არის ერთი ადგილი, სადაც შემოდგომის ავდრიან დღეებში თავისუფალ დროს კოლმეურნეებს უყვართ თავშეყრა და ბაასი,—ეს სოფლის ბიბლიოთეკაა. ამიტომ ამბობს ბიბლიოთეკის გამგე ლიდა ნიშნიანიძე: წვიმა და თოვლი ჩემი ამინდიაო.

მთელი ზაფხული თითქმის მარტო იჯდა ლიდა ბიბლიოთეკაში. ათასში ერთხელ თუ შეირბენდა ვინმე წიგნის წასაღებად ან წაღებულ წიგნს დააბრუნებდა, მერე ისევ ყანაში ან საბოსტნე ნაკვეთში გარბოდა. ვის ეცალა ბიბლიოთეკაში დასაჯდომად, როცა მინდვრად მოსავლის ბედი წყდებოდა...

ახლა კი დღეში ასი კაცი მაინც შეივლის. საღამოობით ბიბლიოთეკა ხალხითაა სავსე. სამკითხველო დარბაზში ჩუმად უსხედან მაგიდებს და კითხულობენ ახალ გაზეთებს, ჟურნალებს; ზოგი წიგნის წაკითხვასაც აქვე არჩევს.

მაგრამ ბიბლიოთეკაში მხოლოდ წიგნის წასაღებად, ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად არ მიდიან კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მოსწავლეები. იკრიბებიან ერთმანეთს რომ გაუზიარონ თავიანთი ფიქრები და აზრები წაკითხულის გარშემო, იბაასონ სოფლის ავკარგზე, ერთმანეთს ახარონ თავიანთი წარმატებები...

ლიდას ჰყავს ისეთი მკითხველები და აქტივისტები, რომლებიც თითქმის ყოველდღე მიდიან ბიბლიოთეკაში. მთელ სოფელში კი ისეთი კაცი იშვიათად მოიძებნება, რომ კვირაში ერთხელ მაინც არ შეიაროს იქ.

— წავალ ერთი, ქვეყნისა და სოფლის ახალ ამბებს გავიგებ,—იტყვის სამუშაოდან დაბრუნებული კოლმეურნე და. დაღლილობის მიუხედავად. არ დაიზარებს ერთი-ორი კილომეტრის გავლას. კედლის გაზეთის ახალი ნომრის ნახვაც აინტერესებს. იცის, აქ ხშირად საინტერესო წერილებს ათავსებენ სოფლის ამბებზე. სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, კოლმეურნეებზე...

იზიდავს ხალხს ბიბლიოთეკაში მოწყობილი გამოფენებიც. კოლმეურნეობის ეკონომიკის თანდათანობით ზრდის. სახალხო განათლების წინსვლისა და აღმავლობის ამსახველი დიაგრამებიც, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის ყოველკვირეული ბიულეტენებიც. უკვირთ სოფელში, ყველაფერს როგორ ასწრებს ლიდა, ან რა იცის ამდენი ამ ქალმაო. ამას წინათ ასეთი გამოფენა მოაწყო: «კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება მიმდინარე შვიდწლედში». მთელი დღე ფუსფუსებდა, ფოტოსურათებიც იშოვა, საკუთარი ხელით დახაზა და დახატა დიაგრამები, ლამაზად და მოხდენილად. მეურნეობის ყველა დარგის ზრდა-განვითარება ცალ-ცალკე ასახა...

ძალიან საინტერესო გამოდგა გამოფენა, რომელიც სოფელში სახალხო განათლების აღმავლობის ჩვენებას მიეძღვნა. ამ გამოფენისათვის მასალების შესაგროვებლად ლიდა ნიშნიანიძეს დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა. საჭირო გახდა სასოფლო საბჭოს არქივისა და ჩანაწერების ქექვა, მოხუცი ადამიანების გამოკითხვა და ბოლოს, საკმაოდ მდიდარი მასალა დაგროვდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თურმე სოფელში მცხოვრებთა სამი მეოთხედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. სოფელში არ იყო არცერთი უმაღლესდამთავრებული. ბიბლიოთეკასა და წიგნებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია... საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა სკოლა, კლუბი, აფთიაქი. საავადმყოფო... ახლა არ არის ისეთი ოჯახი, სადაც უმაღლესდამთავრებული არ იყოს. სანთლით რომ ეძიოთ, წერა-კითხვის უცოდინარს ვერ ნახავთ, კოლმეურნე თავისუფლად მსჯელობს საერთაშორისო საკითხებზე, ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაზე, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზე, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ლიტერატურას იშველიებს.

აი, ახლა ბიბლიოთეკაში ზის გამოცდილი მეაბრეშუმე ლიდა ნიკოლაიშვილი.

— მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილებაზე ახალი ლიტერატურა ხომ არ მიგიღიათ, ან იქნებ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა რამე?—ეკითხება ბიბლიოთეკარს და წაუკითხავს არ დატოვებს მეაბრეშუმეობაზე გამოქვეყნებულ ნაშრომსა თუ სტატიას.

ასევე ხშირად მოდიან ბიბლიოთეკაში მეაბრეშუმე ქალები: სონია სანიკიძე, სონია თავაძე, მართა თევზაძე, ოლია ნიშნიანიძე, თინა ნიკოლაიშვილი და სხვები. ამიტომაც არის, რომ თვითეული მათგანი ყოველწლიურად აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს იღებს...

ბიბლიოთეკარი ზრუნავს ახალი მკითხველების მოსაზიდავად. შალვა ნადირაძეს ამ რამდენიმე წლის წინათ მაინც და მაინც არ ეხალისებოდა ბიბლიოთეკაში მისვლა. ბიბლიოთეკის გამგემ უსაყვედურა.

— რა დროს ჩემი ბიბლიოთეკა და წიგნებია, შვილო. ხომ ხედავ, გავჭაღარავდი, თვალს დამაკლდა, ახლა ბრძენი კაცივით სათვალე გავიკეთო და ისე ვიკითხო?—უთხრა შალვამ.

— კაცი თუ დაინტერესდა. სათვალით კი არა. გამადიდებელი შუშითაც წაიკითხავს,—ეუბნებოდა სოფლის ბიბლიოთეკარი,—თქვენ სიმინდი მოგყავთ. ამ საქმის კარგ მცოდნედ და ოსტატად ითვლებით, მაგრამ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ჩვენს კოლმეურნეობაში ჯერჯერობით 20—22 ცენტნერს ვერ გადააჭარბა. სიმინდის უხვი მოსავლის სახელგანთქმულ ოსტატებს ჩოქოლი ქვაჩახიას, თემურ თარბას და სხვებს კი 100—150 ცენტნერი მოჰყავთ ჰექტარზე. არ გაინტერესებთ როგორ არის ეს? მათი მუშაობის გამოცდილებაზე სწორედ ახლახან მიიღო ჩვენმა ბიბლიოთეკამ ბროშურები, რომ წაიკითხავდეთ, მე მგონი, ურიგო არ იქნება თქვენთვის.

ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა შალვას. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილებამ დააინტერესა. მართლა წაიღო წიგნი. ამის შემდეგ ხშირად შეივლის ბიბლიოთეკაში და კითხულობს—საჩემო ხომ არაფერი გაქვთო.

მერე შალვას სთხოვეს ბიბლიოთეკის კედლის გაზეთისათვის წერილი დაეწერა თავისი მუშაობის გამოცდილებაზე...

ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია მასწავლებელი ოთარ გეფერიძე, წიგნის დიდი მოყვარული ოთარის მეუღლე ლილი... საღამოობით ერთად დასხდებიან და კითხულობენ, წიგნები მათს ცხოვრებას ავსებენ და ალამაზებენ.

სოფლის ბიბლიოთეკის ყველაზე ახლო მეგობრად მაინც ნანული ნიშნიანიძე ითვლება. დღე არ გავა. ბიბლიოთეკაში რომ არ მივიდეს. ეხმარება ბიბლიოთეკარს წიგნების დამუშავებაში, კედლის გაზეთის გამოშვებაში. მან ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გადაიკითხა სასოფლო ბიბლიოთეკის თითქმის ყველა წიგნი. ნანულიმ წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, წიგნი კი მაინც არ მიატოვა. ეს ენერგიული ქალიშვილი მუდამ პოულობს დროს კითხვისათვის და არც შრომაში ჩამორჩება სხვებს...

ბიბლიოთეკის მკითხველთა უმრავლესობა მაინც ახალგაზრდები არიან. ნანული ნიშნიანიძის თანატოლები. ბიბლიოთეკარი მათი ახლო მეგობარი და მრჩეველია. იგი ყველას ურიგებს და უნაწილებს წიგნებს: «იცოდე, მალე დააბრუნე, სხვებმაც უნდა წაიკითხონ»,—ეუბნება ერთს, «დაუკვირდი, რა წმინდა, უანგარო მეგობრობაა დახატული ამ წიგნში»,—ეტყვის მეორეს. «დაკვირვებით წაიკითხე ეს წიგნი, მკითხველთა კონფერენციაზე უნდა გავარჩიოთ, სიტყვით გამოხვალ. ალბათ».—აფრთხილებს მესამეს...

და განა მარტო ლიდა ურჩევს და ასწავლის მათ? მკითხველებიც არ რჩებიან ვალში...

— ერნესტ ჰემინგუეის «მოხუცი და ზღვა» შეიძინე,—ეუბნება ექიმი ქეთევან მიქაძე,—არც ანატოლ ფრანსის «ღმერთებს სწყურიათ» დაგავიწყდეს, კარგი წიგნია...

ლიდა ყურადღებით ისმენს მკითხველთა შენიშვნებს. მათ ყველა თხოვნას უბის წიგნაკში ინიშნავს, შემდეგ რომ შეასრულოს.

**გ. თევზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ ჭავჭავაძე

1922 წლის 25 ნოემბერს კოტე მარჯანიშვილის მიერ ლოპე დე ვეგას «ცხვრის წყაროს» დადგმამ სათავე დაუდვა ქართულ საბჭოთა თეატრს. ამ დღიდანვე იწყება თამარ ჭავჭავაძის სცენური ბიოგრაფიაც. ამ დღეს განახორციელა მან ლაურენსიას როლი—განუმეორებელი სიძლიერისა და ცეცხლოვანი ტემპერამენტის მქონე მხატვრული სახე. ლაურენსიას როლი არა მარტო თამარ ჭავჭავაძისათვის იყო დიდი შემოქმედებითი გამარჯვება, არამედ იგი იყო გამარჯვება იმ ქართველი აქტიორული ახალგაზრდობისა, რომელიც მტკიცედ დაირაზმა დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ირგვლივ.

თეონე—„არაგველები"



ხშირად ამბობენ: ქართული საბჭოთა თეატრი და თამარ ჭავჭავაძე, როგორც ხელოვანი, ერთი ხნისანი არიანო. 1922 წლიდან მოყოლებული დღემდე,—ლაურენსიადან ოთარაანთ ქვრივამდე და ვასა ჟელეზნოვამდე, თამარ ჭავჭავაძემ შექმნა ოთხმოცზე მეტი სცენური სახე და მარტო ამ როლების ჩამოთვლაც კმარა იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა უაღრესად რთული და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გზა განვლო მან.

ჯერ კიდევ ბავშვს აღმოაჩნდა ის ძვირფასი თვისება, რითაც პატარები ერთბაშად მიიზიდავენ უფროსი ადამიანების ყურადღებას. პატარა თამარი მშვენივრად მღერის, ცეკვავს და ჩინებულად კითხულობს ქართველი პოეტების ლექსებს.

თამარის მამის ოჯახში სტუმრად მყოფ ილია ჭავჭავაძეს უთქვამს თურმე: «თამარისაგან ნიჭიერი მსახიობი გამოვაო.»

თამარ ჭავჭავაძეს მეხსიერებაში ჩარჩა ქართული საეკლესიო წეს-ჩვეულებანი, რომლებიც უხვად ატარებდნენ თეატრალურ ელემენტებს, ხოლო ფართოდ ცნობილი ქართული ხალხური სანახაობა «ბერიკაობა» დღესაც კარგად ახსოვს მას. აი, რას იგონებს ამის შესახებ იგი: «მე ძალიან მხიბლავდა და მიყვარდა ბერიკების პაექრობა და წარმოდგენები. გულისფანცქალით ველოდებოდი ჩვენს ოჯახში მათ მობრძანებას და სულ მეშინოდა, ვაი, თუ გზა აებნიათ ჩვენი სახლისათვის და არ მოსულიყვნენ ჩვენთან. ბერიკების წაბაძვით ჩემს დებთან ერთად ვცდილობდი შეგვექმნა ჩვენი საკუთარი ბავშვური თეატრი. ყველა ამ ბავშვური წარმოდგენების მეთაური მე ვიყავი ხოლმე. თვითონ ვთხზავდი პიესებს, ვრეჟისორობდი და მთავარ როლებს, რასაკვირველია, მევე ვასრულებდი. გარდა ჩემი დებისა, დამხმარე ძალები მეზობლის ბავშვები იყვნენ. ჩვენი თეატრი ჩვენივე მარანი იყო, რომელიც სახლის ქვეშ იყო მოთავსებული, შემდეგ გავიგე, რომ ამავე მარანში, როდესაც მე ჯერ დაბადებული არ ვიყავი, ჭაბუკი კოტე მარჯანიშვილი სდგამდა ხოლმე თავის პირველ წარმოდგენებს».

1917 წელს, თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თამარ ჭავჭავაძე სწავლას განაგრძობს ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და პარალელურად ლებედინსკის ხელმძღვანელობით არსებულ დრამატულ სტუდიაში მეცადინეობს. ეს სტუდია შემდეგში ერთერთ პირველ მოძრავ პროლეტარულ თეატრად გადაკეთდა და თამარ ჭავჭავაძე რუს და უკრაინელ მსახიობებთან ერთად მომსახურებას უწევდა რევოლუციურ წითელ არმიას.

ამ მშფოთვარე დღეებში თამარ ჭავჭავაძეში ყალიბდება მაღალი მოქალაქეობრივი თვისებები, იზრდება შეგნება იმისა, რომ ყოველი ხელოვანი, და ცხადია, მსახიობიც, ხალხის მსახური, ტრიბუნი და საუკეთესო იდეალებისათვის მგზნებარე მებრძოლი უნდა იყოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ქართული თეატრის კრიზისის პერიოდში, თამარ ჭავჭავაძე მონაწილეობს შანშიაშვილის პიესებში—«უგვირგვინო მეფენი» (თეკლე) და «ბერდო ზმანია» (ვნები), ვალერიან შალიკაშვილის პიესაში «გადაჭრილი მუხა» (ევნიკა). ეს ხანა შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდად, რომლის დროს მსახიობის მუშაობა თუმცა არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს, მაგრამ მას, ამ პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოდს, მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მსახიობის ისეთი რთული, საეტაპო როლისათვის, როგორიც იყო ლაურენსია «ცხვრის წყაროში».

«ცხვრის წყაროსთან» დაკავშირებით,—აღნიშნავს უშანგი ჩხეიძე,—არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი ორი მონაწილე—თამარ ჭავჭავაძე და აკაკი ვასაძე. არა მარტო იმის გამო, რომ სპექტაკლის გამარჯვებაში მათ განსაკუთრებული როლი ითამაშეს, არამედ, როგორც თამარ ჭავჭავაძის, ისე აკაკი ვასაძისათვის «ცხვრის წყაროს» ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ლაურენსიას და მენგოს როლებში დაისახა მათი აქტიორული შემოქმედებითი გზა. თუ მარჯანიშვილმა იპოვა თამარ ჭავჭავაძესა და აკაკი ვასაძეში ლაურენსიას და მენგოს მშვენიერი შემსრულებელნი, მათ ამ როლებში მონახეს თავისი თავი, როგორც აქტიორებმა.

1934 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა შალვა დადიანის მიერ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით დაწერილი პიესა «ნინოშვილის გურია». ცენტრალური გმირის, რევოლუციონერი გლეხი ქალის დარიკოს როლის შესრულება თამარ ჭავჭავაძეს დააკისრეს.

ამ როლის შესრულებით თამარ ჭავჭავაძემ ცხადჰყო, რომ იგი ჭეშმარიტად დრამატული პლანის მსახიობია და ამაღლებული გრძნობების საუკეთესო გამომხატველი. თამარ ჭავჭავაძის დარიკო, ეს იყო ტიპიური სახე ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ქალისა.

1945-46 წლების სეზონში რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა ა. ოსტროვსკის პიესა «უდანაშაულო დამნაშავენი». კრუჩინინას რთული სახე რეჟისორმა აკაკი ვასაძემ თამარ ჭავჭავაძეს მიანდო.

თამარ ჭავჭავაძემ უკუაგდო ამ როლის მელოდრამატული ელემენტები და შექმნა მხატვრული სახე დედისა, რომელმაც ხმა აღიმაღლა გასული საუკუნის საზოგადოების შემბოჭველი კანონების წინააღმდეგ, უარყო ქორწინება უსიყვარულოდ. თამარ ჭავჭავაძის კრუჩინინა ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლი ქალია.



ვასა ჟელეზნოვა



ოთარაანთ ქვრივი

სამამულო ომის მძიმე დღეებში თამარ ჭავჭავაძემ სამშობლოს წინაშე სახელოვნად მოიხადა ვალი, როგორც ხელოვანმა. იგი გადიოდა ფრონტის მოწინავე ხაზებზე და ყუმბარებისა და ტყვიების ზუზუნში კითხულობდა ღრმად პატრიოტულ ლექსებს, მოუწოდებდა მებრძოლთ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამავე დროს, არც თეატრში წყვეტდა დაძაბულ შემოქმედებით შრომას. ომის დასრულების შემდეგ თამარ ჭავჭავაძე ილო მოსაშვილის პიესაში «სადგურის უფროსი» ასრულებს პელაგია ნესტოროვნას როლს.

თავისი ხასიათით პელაგია ნესტოროვნა განსხვავდება თამარ ჭავჭავაძის მიერ შექმნილ სხვა სახეთაგან. ამიტომ ეს როლი მსახიობისაგან მოითხოვდა ახალი აქტიორული თვისებების გამომჟღავნებას. თამარ ჭავჭავაძემ წარმატებით დაძლია მის წინაშე მდგარი ამოცანა და შექმნა დიდი სცენური სიმართლით აღბეჭდილი სახე, რომელიც მაყურებელს ხიბლავს თავისი უშუალობით და მხატვრული უბრალოებით.

თამარ ჭავჭავაძის აქტიორული ნიჭის მრავალმხრივობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი არ ცდილობს გატკეპნილი გზით იაროს და ყოველ ახალ სახეში გამოიყენოს ის სცენური ხერხები და საშუალებანი, რომლებიც ადრე ჰქონდა გამოყენებული ამა თუ იმ როლზე მუშაობის დროს.

თამარ ჭავჭავაძის უდავო კომედიურ ნიჭზე მეტყველებენ დიდი აქტიორული ოსტატობით შესრულებული ისეთი როლები, როგორიცაა დიანა—ლოპე დე ვეგას პიესაში «სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი», დარეჯანი—ილო მოსაშვილის «მის ვარსკვლავში», მაჭანკალი გოგოლის «ქორწინებაში» და სხვა.

მიუხედავად ამისა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თამარ ჭავჭავაძის ნიჭი და შესაძლებლობანი თავისი აყვავების უმაღლეს წერტილს ტრაგედიასა და უფრო მეტად დრამის ჟანრში აღწევს.

მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა წილად თამარ ჭავჭავაძეს სპექტაკლში «ოთარაანთ ქვრივი». თამარ ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივის დაუვიწყარი სახე შექმნა. გარეგნულად მკაცრი და სიტყვა-პასუხშიც მკვახე ქალის იქით იმალება საოცრად გულისხმიერი, ჭირნახული ბრძენი ადამიანი. მსახიობმა ჭეშმარიტ ემოციურ სიძლიერეს მიაღწია მომაკვდავ შვილთან გამოთხოვების სცენაში. მისი ხმა უჩვეულოდ თბილია და ახლობელი. ამ ხმას იცნობს ყოველი დედა, ყოველი შვილი. თამარ ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი არის აგრეთვე ქართველი მშრომელი ხალხის სულიერი სილამაზის განსახიერება. როდესაც იგი პირველ მოქმედებაში მხარზე თოხგადებული, უსიტყვოდ შემოდგება ბორცვზე—მაყურებელი სიყვარულით და პატივისცემით იმსჭვალება ამ ვაჟკაცური ქალისადმი, რომელიც პატიოსნებისა და შრომის სიმბოლოდ აღმართულა.

ამ ცოტა ხნის წინ კი, უკვე წლებით დატვირთულმა მსახიობმა, შეასრულა მსოფლიო დრამატურგიის ისეთი რთული როლი, როგორიცაა იოკასტე სოფოკლეს «ოიდიპოს მეფეში».

თ. ჭავჭავაძემ ქართული კინოხელოვნების განვითარებაშიც შეიტანა თავისი წვლილი. მან მონაწილეობა მიიღო კ. მარჯანიშვილის მიერ



ლაურენსია

გადაღებულ ფილმში «კომუნარის ჩიბუხი», ხოლო უფრო მოგვიანებით ბრწყინვალე ოსტატობით განასახიერა ხანუმას როლი ცნობილ კინოკომედიაში «ქეთო და კოტე».

ასეთია შემოქმედებითი გზა თამარ ჭავჭავაძისა, რომელიც თავისი მძლავრი ტალანტით და მგზნებარე გულით ემსახურება ეროვნული თეატრის აყვავების საქმეს.

**ნ. ცაავა,**

**თ. მინდელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სემინარი მშობლებისათვის

## ბავშვის ხელოვნური გამოკვება

როდესაც ბავშვი 5-6 თვის ასაკამდე რჩება უძუძოდ და სხვა სახის საკვებზე გადაგვყავს, ვამბობთ, რომ ბავშვი ხელოვნურად იკვებება.

ბავშვის ხელოვნური გამოკვება ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. სასურველია, რომ ბავშვი სამ თვემდე მაინც არ გადავიყვანოთ ხელოვნურ კვებაზე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალის რძიდან ბავშვი იღებს დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულებს და ამიტომ ყოველგვარ დაავადების გამომწვევს ადვილად არ ექვემდებარება. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვი, ცხადია, ამას მოკლებულია. გარდა ამისა, ბავშვის საჭმლის მომნელებელი სისტემა 3-4 თვის ასაკამდე «მოუმწიფებელია» და მხოლოდ ქალის რძის მისაღებად არის მომზადებული. ყოველგვარი სხვა სახის საკვები კი მისთვის ძნელი მოსანელებელია.

თუ ქალის რძის მონელებას ბავშვის კუჭი 2-3 საათს ანდომებს, ხელოვნური კვებისას $3\frac{1}{2}$-4 საათი სჭირდება.

ბავშვის ხელოვნურ საკვებად ყველაზე უფრო მიღებულია ძროხის რძე—როგორც რძის, ისე მაწვნის და კეფირის (ე. ი. მჟავე ნარევების) სახით. იმის მიხედვით, თუ რომელი ასაკიდან გადაგვყავს ბავშვი ხელოვნურ კვებაზე, სხვადასხვა იქნება როგორც თვით საკვები, ისე საკვების პროპორციაც.

თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გაზაფხულზე, ზაფხულში ან შემოდგომაზე გადაგვყავს, მაშინ რძის ნაცვლად ერთი კვირის ასაკიდან უნდა გამოვიყენოთ მაწონი ან კეფირი (ყოველდღე ახალი, შენახული ბნელ და ცივ ადგილას). ზამთარშიც კი, ჩვენი აზრით, უკეთესია მჟავე ნარევები გამოვიყენოთ, განსაკუთრებით მაწონი. მაწონი შეიცავს რძის მჟავას და ამიტომ ჩვილი ბავშვის კუჭ-ნაწლავი მას უფრო ადვილად ინელებს. თუ საკვებად მაინც რძეს გამოვიყენებთ, მაშინ ბავშვს აუცილებლად უნდა ვასვათ კუჭის წვენი—ექიმის გამოწერით.

ხელოვნური კვების დროს ბავშვის ნაწლავები ცილებს მთლიანად ვერ შეითვისებს, ამიტომ ხელოვნური საკვები უფრო მეტი კალორიული ღირებულების უნდა იყოს, ვიდრე ქალის რძე. საკვების კალორიულობა მისი რაოდენობის გაზრდით კი არ უნდა ავწიოთ, არამედ ნოყიერების გაზრდით. ხელოვნური საკვები, ქალის რძესთან შედარებით 10-12%-ით ნოყიერი უნდა იყოს: მაწვნის შედედებისას რძეში უნდა ჩავუმატოთ კარაქი (1%), ნაღები ან შაქარი (8-10%).

ბავშვის საკვების რაოდენობა გამონგარიშებულ უნდა იქნას ასაკისა და წონის მიხედვით. ყოველ ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

სამ თვემდე ბავშვს საკვები დღე-ღამეში 6-ჯერ უნდა მივცეთ, მეოთხე თვიდან—5—ჯერ. სიცოცხლის პირველ სამ დღეს უნდა ვაძლიოთ ოდნავ შემტკბარი (შაქარი—3%) რძე, ნახევრად წყლით გაზავებული: პირველ დღეს თითო ჩაის კოვზი, მეორე დღეს ორ-ორი, ხოლო მესამე დღეს ხუთ-ხუთი ჩაის კოვზი—დღე-ღამეში 6-ჯერ.

მეოთხე დღიდან წყლის ნაცვლად შევურიოთ თხელი (5%-იანი) ბრინჯის ნახარში (ნახევარი რძე, ნახევარი ბრინჯის ნახარში) და ყოველ ჭამაზე მივცეთ დაახლოებით შვიდი ჩაის კოვზი. ამის შემდეგ ულუფა თანდათან უნდა გავზარდოთ იმ ვარაუდით, რომ ერთი კვირის ასაკში თითო კვებაზე მივცეთ ჩაის ჭიქის* ნახევარზე ცოტა ნაკლები (დაახლოებით 80 მილილიტრი).

სიცოცხლის მერვე-მეცხრე დღიდან ძროხის რძის ნაცვლად მივცეთ ცხიმიანი რძისაგან გაკეთებული მაწონი 1% კარაქით, ბრინჯის ნახარშით გაზავებული და 5% შაქრით შემტკბარი (Б მაწონი). ეს ნარევი უნდა ვაძლიოთ ერთი თვის ასაკამდე, მხოლოდ ულუფას თანდათანობით გავზრდით, დაახლოებით ნახევარ ჩაის ჭიქამდე.

ერთი თვის ასაკიდან ნარევი უნდა შეიცავდეს 2 წილ მაწონს და ერთ წილ ბრინჯის ნახარშს, შაქარს (B მაწონი) და 1% კარაქს. თითო კვებაზე ულუფა უნდა იყოს ნახევარ ჭიქაზე მეტი (125 მილილიტრამდე).

ორი თვიდან B მაწონს უნდა დავუმატოთ 1% კარაქი და 5 გრ (ერთი ჩაის კოვზი) ხაჭო, ხოლო ულუფას გავზრდით 135 მილილიტრამდე (ჩაის ჭიქის $^{2}/_{3}$).

სამი თვიდან ისევ იმავე ნარევს ვაძლევთ (B მაწონი 1% კარაქით და 5 გრ ხაჭოთი), ულუფის რაოდენობას კი გავზრდით ჭიქის $^{3}/_{4}$-მდე (150 მილილიტრი).

ოთხი თვიდან ბავშვი უნდა გადავიყვანოთ ხუთჯერად კვებაზე. დღეში ოთხჯერ მივცემთ მთლიან გაუზავებელ მაწონს 5% შაქრით და 1% კარაქით, ხოლო ერთხელ, დღის შუალედში—რძეზე მოხარშული მანანის, დანაყილი ბრინჯის ან სიმინდის ფქვილის ფაფას 3% კარაქით და 5% შაქრით, თითო ჭამაზე 180 მილილიტრამდე (არასავსე ჩაის ჭიქა). თუ ბავშვმა ფაფა ან მაწონი არ შეჭამა, შეიძლება მათი შერევა (ნახევარი ნახევარზე) და ასე ვაჭმევთ დღეში ორჯერ ან სამჯერ.

ხუთი თვიდან ბავშვს ერთერთ კვებაზე უნდა მივცეთ ბოსტნეულის სუპი-პიურე 3% კარაქით, ხოლო ულუფის რაოდენობა უნდა ავიყვანოთ მთელ ჩაის ჭიქამდე.

ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვს მეხუთემეათე დღიდან 6 თვემდე დღეგამოშვებით აუცილებლად უნდა მივცეთ თითო წვეთი ვიტამინი Д (სპირტიანი ხსნარი) და 10%-იანი კალციუმის ხსნარი (ჩაის კოვზით დღეში სამჯერ). მეხუთმეტე დღიდან კი უნდა მივცეთ ვიტამინი C—50-100 მილიგრამი (ექიმის გამოწერით). ორი თვიდან დავუმატებთ ხილის და სტაფილოს წვენებს (პირველად ორი ჩაის კოვზი დღეში 1-3-ჯერ, შემდეგ ნელ-ნელა ვუმატებთ და 4-5 თვისათვის 10 ჩაის კოვზს მივცემთ დღეში ორჯერ). სამი თვიდან ბავშვს უნდა მივცეთ ვიტამინი B—საფუარი სოკოს აბების სახით, დღეში 1 ცალი, საკვებთან შერეული.

კვების შუალედებში ბავშვს უნდა დავალევინოთ ოთახის ტემპერატურის ადუღებული წყალი, დღეღამეში იმდენი ნახევარი ჭიქა, რამდენ კილოგრამსაც იწონის ბავშვი.

6 თვიდან სხვა სახის დამატებითი საკვები ისევე უნდა მივცეთ, როგორც ბუნებრივი კვების დროს (იხ. «საბჭოთა ქალი» № 6, 1958 წ.).

თუ არ გვექნა სპირტზე დამზადებული ვიტამინიД მაშინ $1\frac{1}{2}$-2 თვის ასაკიდან ბავშვს დღეში ერთხელ უნდა მივცეთ რძეში გალესილი მოხარშული კვერცხის გულის ერთი მეოთხედი.

ბავშვის ხელოვნური გამოკვებისას უნდა დავიცვათ ასეთი წესები: ყოველგვარი საკვები მივცეთ შემთბარი 40—45°-მდე (ბოთლი შეხებისას თბილი უნდა იყოს).

საწოვრის ხვრელი იმ ზომის უნდა იყოს, რომ დაყირავებული ბოთლიდან ნარევი მხოლოდ წვეთავდეს.

ხშირად არ შევუცვალოთ ბავშვს საკვები, მითუმეტეს, თუ კუჭის მოქმედება არანორმალური აქვს.

ბავშვის წონა შევამოწმოთ კვირაში ორჯერ და თუ მან წონაში არ მოიმატა (საშუალოდ დღეში 18—20 გრამი), საკვებს დავუმატოთ ორ-ორი კოვზი ხაჭო, შაქარი, ან ოდნავ გავადიდოთ ულუფა.

ხშირად გავიყვანოთ ბავშვი ჰაერზე.

ბავშვის ჭურჭელი ყოველი კვების შემდეგ გამოვხარშოთ.

ვაჭამოთ ხელში აყვანილ მდგომარეობაში.

ხშირად ვაჩვენოთ ბავშვი პედიატრს.

ამ წერილში საკვების ულუფათა რაოდენობა მოცემულია საშუალო წონის ბავშვებისათვის, ამიტომ ულუფის გადიდება ან შემცირება უნდა მოხდეს წონის კონტროლის და ბავშვის გუნებ-განწყობის მიხედვით.

**ელენე გერი,**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

*) ჩაის ჭიქა იგულისხმება თლილი—200-გრამიანი.

## ტანვარჯიში ძუძუთა ბავშვებისათვის

ძუძუთა ბავშვების ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ტანვარჯიშს.

სისტემატურად ჩატარებული ვარჯიში ბავშვებს უნვითარებს და უმაგრებს ძვლოვან და კუნთოვან სისტემას, უუმჯობესებს სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას და ყველა დანარჩენ სასიცოცხლო ფუნქციას (ცნობილია, რომ მოქმედებისას კუნთები საკვებ ნივთიერებას სამჯერ მეტს, ხოლო ჟანგბადს 7-ჯერ მეტს მოიხმარენ, ვიდრე უმოქმედობის დროს), გარდა ამისა, ტანვარჯიშის ჩატარების შედეგად ბავშვები მატულობენ წონაში, დროზე იწყებენ სიარულს, უფრო მხიარული და აქტიური ხდებიან, ნაკლებად ცივდებიან და ავადდებიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი განსხვავდებიან მათი

ტოლი სხვა ბავშვებისაგან კარგი აღნაგობით, სისწრაფით, გამბედაობით. ყოველდღიური ტანვარჯიშის დაწყება შეიძლება 6-8 კვირის ასაკიდან, როდესაც მუცელზე მწოლარე ბავშვი შეძლებს თავის მაღლა აწევას. ბევრად უკეთესია ბავშვთან ფიზიკური ვარჯიშები დედამ ჩაატაროს, მაგრამ თავდაპირველად და შემდეგშიაც უნდა აჩვენოს ექიმს და მიიღოს რჩევა-დარიგებანი ვარჯიშების ხასიათის შესახებ. ასევე საჭიროა, რომ ერთი-ორი მეცადინეობა ექიმის ზედამხედველობით ჩატარდეს.

ტანვარჯიშის ჩატარება სასურველია სისტემატურად, დღეში ერთხელ ან ორჯერ—საჭმლის მიღებამდე ნახევარი საათით ადრე და საჭმლის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ. ვარჯიშის დაწყების წინ აუცილებელია ოთახში ჰაერის გასუფთავება. ოთახში ტემპერატურა არ უნდა იყოს 20 გრადუსზე დაბალი. ტანვარჯიშის ჩატარება უკეთესია მაგიდაზე, რომელზეც გადაფარებული იქნება თხელი საბანი, მუშამბა და თეთრი ზეწარი. ვარჯიშის დაწყებამდე მშობელმა ხელიდან უნდა მოიხსნას სამკაულები (ბეჭედი, საათი, სამაჯური), ხელები დაიბანოს საპნითა და თბილი წყლით და კარგად შეიმშრალოს. ხელებზე კოჟიჟების არსებობის შემთხვევაში საჭიროა მისი მოშორება პემზით.

ბავშვის ხელებს, ფეხებსა და სხეულის სხვა ნაწილებს ხელი უნდა მოვკიდოთ ძალზე ფრთხილად (ყოველგვარი ზედმეტი მოჭერის გარეშე); ვარჯიში უნდა ჩატარდეს ნელა და ფაქიზად დაწყებული პასიური მოძრაობებით (დედის დახმარებით) ბავშვის შედარებით აქტიურ მოძრაობებზე გადაყვანით.

ვარჯიშების ჩატარების დროს აუცილებლად უნდა შევანაცვლოთ ხელების, ფეხებისა და ტანის მოძრაობა, გარდა ამისა, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტანის კუნთების (წელის და მუცლის) განვითარებასა და გამაგრებას, რის გამოც ზოგიერთი ვარჯიში ექიმის მითითებით შეიძლება დღეში რამდენჯერმე ჩატარდეს. თვითეული ვარჯიში უნდა შესრულდეს 2-3-დან 5-6-მდე. კარგია, თუ ვარჯიშთა კომპლექსში შევა ხოხვაც—ეს არის საუკეთესო ვარჯიში, როგორც ხერხემლისათვის, ასევე ტანისა და კიდურების კუნთებისათვის. გარდა ამისა, ხოხვა კარგად ამზადებს ბავშვს ფეხის ადგმისათვის. ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ ბავშვს ხშირად შევუქმნით პირობებს ხოხვისათვის—დავუფენთ საგებს და შემოვუწყობთ სათამაშოებს.

თუ ვარჯიშის ჩატარებისას ბავშვი ტირის ან არ ამჟღავნებს ხალისს, საჭიროა თავდაპირველად მისი დამშვიდება ალერსით, სათამაშოების ჩვენებით. თუ ბავშვს ხასიათი არ გამოუკეთდა, ვარჯიში უნდა შევწყვიტოთ.

ტანვარჯიშის დამთავრების შემდეგ ბავშვი თბილად უნდა შევახვიოთ და 20-30 წუთით ჩავაწვინოთ ლოგინში დასასვენებლად. ცივ ამინდში, უმთავრესად კი ზამთარში, ბავშვის გარეთ გაყვანა შეიძლება მხოლოდ ვარჯიშის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ.

ჩვენს წერილში შეუძლებელია ვარჯიშთა ყველა კომპლექსის აღწერა. დაინტერესებულ მშობელს ბავშვის ასაკისა და განვითარების მიხედვით შეუძლია შესაბამის ვარჯიშთა კომპლექსის მიღება ბავშვთა კონსულტაციაში. ჩვენ აქ ვიძლევით მხოლოდ ვარჯიშის ერთერთ ნიმუშს 8—11 თვის ბავშვებისათვის.

**ვარჯიში პირველი.** ბავშვი წევს მაგიდაზე ზურგით. დედა დგას ბავშვის ფეხებთან, ხელები წავლებული აქვს ბავშვის მაჯებზე და მორიგეობით ჯერ ერთ ხელს წევს მაღლა და გადააქვს თავს უკან, შემდეგ მეორეს. თვითეული ხელისათვის ვარჯიში სრულდება 4-5-ჯერ.

**ვარჯიში მეორე:** დედისა და ბავშვის მდგომარეობა იგივეა, ამჯერად სრულდება პირველი ვარჯიში, მხოლოდ ორივე ხელით ერთდროულად 5-6-ჯერ.

**ვარჯიში მესამე.** ბავშვი წევს მაგიდაზე ზურგით. დედა დგას ბავშვის ფეხებთან და ბავშვის განზე გატანილი ხელები უჭირავს მაჯებში. აქედან წარმოებს ბავშვის ხელების თანდათან ვერტიკალურ მდგომარეობაში მოტანა და მოძრაობის გაგრძელება გულმკერდზე გადაჭდომამდე. ეს ვარჯიში სრულდება 4-5-ჯერ.

**ვარჯიში მეოთხე.** ბავშვი წევს მაგიდაზე ზურგით, დედა დგას ფეხებთან და ხელები წავლებული აქვს ბავშვის ფეხებზე მუხლს ქვემოთ. ვარჯიში სრულდება ფეხების ცალ-ცალკე ოდნავ აწევით, წინ წაწევით, მუხლის სახსარში მოღუნვით და გაშლით 4-5-ჯერ.

**ვარჯიში მეხუთე.** დედისა და ბავშვის მდგომარეობა იგივეა, მოძრაობაც იგივე, მხოლოდ სრულდება ერთდროულად ორივე ფეხით 5-6-ჯერ.

**ვარჯიში მეექვსე** ბავშვი წევს მაგიდაზე ზურგით, დედა დგას ფეხებთან და მისი მაჯები უკავია ხელებში, აქედან ხელების თანდათან გატანა განზე (განმკლავი) და მოძრაობის გაგრძელება თავს უკან მათი მიტანით. ვარჯიში სრულდება 3-4-ჯერ.

**ვარჯიში მეშვიდე.** ბავშვი წევს მაგიდაზე, ზურგით, დედა დგას ფეხებთან და ბავშვის განზე და ოდნავ მაღლა აწეული ხელები უჭირავს მაჯებში. ვარჯიში სრულდება ხელების ტრიალით მხრის სახსარში 6-7-ჯერ.

**ვარჯიში მერვე.** იგივე მოძრაობა, მხოლოდ ხელების საწინააღმდეგო მიმართულებით ტრიალი, სრულდება 6-7-ჯერ.

**ვარჯიში მეცხრე.** ბავშვი წევს მაგიდაზე ზურგით, დედა დგას ბავშვის ფეხებთან და ხელები წავლებული აქვს ფეხებზე მუხლის სახსრის ქვემოთ. ვარჯიში სრულდება ფეხების ატანით ვერტიკალურ მდგომარეობაში და «კუთხის» წარმოქმნით 3-4-ჯერ.

**ვარჯიში მეათე.** ბავშვი წევს მაგიდაზე ზურგით, დედა დგას ბავშვის ფეხებთან და ხელები შეყოფილი აქვს წელის არეში. აქედან ბავშვის მაღლა აწევა, წელში გაზნექა და უკან დაშვება. ვარჯიში სრულდება 3-4-ჯერ.

**ვარჯიში მეთერთმეტე** ბავშვი წევს მაგიდაზე მუცლით. დედა დგას ბავშვის ფეხებთან და წავლებული აქვს ხელები ფეხებზე მუხლის ქვემოთ, ვარჯიში სრულდება ბავშვის აწევით 45 გრადუსამდე და უკან დაშვებით 3-4-ჯერ (აწევის დროს ბავშვი გულმკერდით დაბჯენილია მაგიდას).

**ვარჯიში მეთორმეტე.** ბავშვი წევს მაგიდაზე მუცლით, დედა დგას ბავშვის გვერდის მხრიდან, ხელები შეყოფილი აქვს გულმკერდისა და ბარძაყის არეში. ამ მდგომარეობიდან ხდება მაღლა აწევა—ხერხემლის გაზნექა და უკან დაშვება. ვარჯიში სრულდება 3-4-ჯერ.

**ვარჯიში მეცამეტე.** ხოხვა.—დედა ბავშვს წინ უდებს რაიმე სათამაშოს, როდესაც ბავშვი მასთან მიხოხდება, დედას გადააქვს სათამაშო სხვა ადგილას.

**შენიშვნა:** ვარჯიშის დროს საჭიროა პატარა შესვენებები.

**ფ. რუხიშვილი**









ვარჯიში მეხუთე    ვარჯიში მეთერთმეტე

ზემოდან ქვემოთ

ვარჯიში მეცხრე    ვარჯიში მეცამეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ ნახავთ სამტრედიის საკონსერვო კომბინატის მიერ გამოშვებულ მარწყვისა და ლეღვის, ბლისა და ალუბლის, კომშისა და კაკლის, მანდარინისა და ტყემლის მურაბებს, ვაშლისა და მსხლის, ქლიავისა და ტყემლის კომპოტებს, მწვანე ლობიოსა და მწვანე ბარდის კონსერვებს... გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ალბანეთის მშრომელებიც კი მიირთმევენ ამ კომბინატის ნახელავ კონსერვებს.



# იცნობდეთ

ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, რომ იქ, სადაც ახლა სამტრედიის ეს ერთერთი ყველაზე დიდი საწარმოა, ოცდაცხრა წლის წინათ მურაბის სახარში პატარა ქარხანა იყო, წლიურად მხოლოდ 400 ათას პირობით ქილა მურაბას იძლეოდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საწარმოს ცხოვრებაში: 1935 წელს იგი რეკონსტრუირებულ იქნა, 1943 წლიდან კი კომბინატად გადაკეთდა. შარშან მისმა კოლექტივმა ქვეყანას მისცა 9.576 ათასი ქილა კონსერვი, წელს გამოუშვებს 10.700 ათას ქილას, ხოლო 1965 წელს—11.600 ათას ქილას. ისიც უნდა ითქვას, რომ სამტრედიელ მეკონსერვეებს გადაწყვეტილი აქვთ თავიანთი შვიდწლედი ექვს წელში შეასრულონ.

350-მდე კაცი მუშაობს კომბინატში, მათგან დაახლოებით 200 ქალია, და სწორედ ისინი არიან ამ საწარმოს სული და გული. რომელი ერთი უნდა დავასახელოთ—ცვლის უფროსი, ინჟინერი მერი ვაშაკიძე თუ მხარშველთა ბრიგადის ხელმძღვანელი მარგარიტა ჭონაძე, მურაბის მხარშველი ქენია ქვანია თუ ჩამომსხმელი ვერა მირიშიჩენკო, ქილების მხუფავი ლუბა ჯალაღანია თუ ქილებზე ხსნარის დამსხმელი სულიკო მიქელაძე. არც ერთი არ ზოგავს ძალას და ენერგიას თავისი საწარმოს ღირსების დასაცავად. ზოგიერთ მათგანს გავეცნოთ აქვე მოთავსებული ცნობებით და ფოტოსურათებით.



სამტრედიის საკონსერვო კომბინატის მიერ გამოშვებულ მურაბებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს, მაგრამ მათგან ძალიან ცოტამ თუ იცის იმ ადამიანთა სახელები, ვინც ამ გემრიელ ტკბილეულს ამზადებს. ეს სიმპათიური სახის ქალი, ქვაბში კოვზს რომ ფრთხილად ურევს მურაბის მხარშველი ქუქუნა შუბლაძეა. იგი ათი წლის წინათ მოვიდა კომბინატში, პირველად ხილის დამხარისხებელი იყო, შემდეგ მურაბის ჩამომსხმელი, მხარშველის დამხმარე და ბოლოს მხარშველი. კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშა, გეგმებს ყოველთვის 130—140 პროცენტით ასრულებს, ამასთან მის მიერ მოხარშული მურაბის 70—80 პროცენტი უმაღლესი ხარისხისაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარგად და გემრიელად მოხარშული მურაბა ქილებში ჩასხმის შემდეგ თუ კარგად არ დაიხურა, მთელი კოლექტივიც შერცხვება და მომხმარებელიც უმადური დარჩება. უნივერსალური ვაკუმდამხუფავი მანქანა ასრულებს დახუფვის პროცესს, ამ მანქანასთან ქალი რომ დგას, თეთრი ქათქათა ხალათითა და თეთრი ხილაბანდით, სამურაბე საამქროს ოსტატი თამარ შუბლაძეა. იგი მხარშველთა და ჩამომსხმელთა მუშაობასაც ადევნებს თვალყურს და ქილების მხუფავებსაც. საჭიროების დროს პირველებსაც ეხმარება და მეორეებსაც. გამოცდილება აქვს და ამ გამოცდილებას იყენებს იმისათვის, რომ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების სუფრა დაამშვენოს სამტრედიელ მეკონსერვეთა მიერ გამოშვებულმა მაღალხარისხოვანმა მურაბებმა.



# ხარისხისათვის

დახარისხების შემდეგ ხილი, ვიდრე იგი მურაბად ქცეული სასტერელიზაციო განყოფილების ავტოკლავებში აღმოჩნდებოდეს, მთელ რიგ პროცესებს გაივლის. ამ პროცესების უნაკლოდ წარმართვის პასუხისმგებლობა ცვლების ინჟინრებს ეკისრებათ. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ცვლის ინჟინერს ქსენია ჯანგველაძეს (მარჯვნივ). იგი თვალყურს ადევნებს ლაბორანტ ტურფა დვალიშვილს, ქსენიას ცვლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს რომ ამოწმებს. შედეგი, ალბათ, ცუდი არ იქნება—ქსენიას ცვლას იშვიათად შეურცხვენია თავი კოლექტივის წინაშე—გამომუშავების ნორმასაც გადაჭარბებით ასრულებს და მაღალხარისხოვან პროდუქციასაც იძლევა.

ფოტო დ. იაკობაშვილის



პირველმა ცვლამ მუშაობა დაამთავრა. შინისაკენ გაეშურნენ მუშები. ეს ქალიშვილები, კომბინატის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, მხიარულად გამოვიდნენ საამქროდან. კმაყოფილი არიან დღევანდელი შედეგით. ცირა ჩიგოგიძე (მარცხნივ) და ვიოლა ხუჭუა (მარჯვნივ).

# მეგობრები

შარშან რომ დაამთავრეს საშუალო სკოლა და პირდაპირ საწარმოში მოვიდნენ, დამხარისხებელნი არიან, ლერი კაკაბაძე (ცენტრში) მხარშავის თანაშემწეა და თან სამი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს, ამასთან ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს დაუსწრებლად—მეორე კურსის სტუდენტია. ეს როდი უშლის ხელს ქალიშვილებს იყვნენ კარგი მეგობრები, ერთად იფიქრონ წარმატებებზე, მომავალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ცხვრის ხორცის ჩანახი

500 გრ მსუქანი ცხვრის ხორცი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩააწყვეთ თუჯის ან სხვა სქელფსკერიან ქვაბში და ოდნავ მოშუშეთ. 5-6 ცალი ბადრიჯანი სიგრძეზე დასერეთ, მოაყარეთ მარილი, ნახევარი საათის შემდეგ გაწურეთ. ბადრიჯანი დატენეთ დაჭრილი მწვანილით, ნივრით, ხახვით, ცხვრის დუმის ნაჭრებით და ხორციან ქვაბში ჩააწყვეთ. ხორცი რომ კარგად ჩაიბულება, დაასხით კანგაცლილი, გახეხილი პამიდვრის ფაფა, რომელსაც შეაზავებთ ნივრით, მარილით და დანაყილი ქინძის მარცვლებით.

## ჩახოხბილი ვარია

კარგად გასუფთავებული ერთი ან ორი ვარია ასო-ასო დაჭერით და ნელ ცეცხლზე მოშუშეთ, მოაყარეთ დაჭრილი ხახვი, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი კარაქი (თითო ვარიაზე) და კარგად მოხრაკეთ. მარილი მოაყარეთ გემოვნებით. შემდეგ დანაყეთ 200 გრ ქორფა ქინძი, გამონაწური წვენი ათქვიფეთ 3-4 კვერცხში და მოასხით ვარიებს, მოურიეთ და რამდენიმე წუთის შემდეგ ცხლად გამოიტანეთ სუფრაზე.

## შემწვარი წიწილა საწებლით

კარგად გასუფთავებული წიწილა წამოაგეთ შამფურზე, მოაყარეთ მარილი, წაუსვით არაჟანი და შამფურის ტრიალით შეწვით ნაკვერჩხლებზე.

დანაყეთ მკვახე ყურძნის—ისრიმის მარცვლები და გაწურეთ საცერში ან სუფთა ტილოში, შეაზავეთ წიწაკით, მარილით, ნახევარი ჩაის ჭიქა კარგად დანაყილი ნიგვზით და ქინძით. შემწვარი წიწილა დაჭერით და ჩააწყვეთ ამ საწებელში.

## აჭარული ხაჭაპური

ორ ჩაის ჭიქა ალესილ მაწონში გაურიეთ ხუთი ცალი ათქვეფილი კვერცხი (ცილიანად), სწრაფი მორევით ჩააზილეთ სამი ჩაის ჭიქა პურის ფქვილი და 500 გრ დაფშვნილი ჭყინტი ყველი. თუ ყველი უმარილოა, მოაყარეთ ცოტა მარილი. ეს შესქელებული მასა დაასხით წინასწარ გაცხელებულ კეცზე, გადააფარეთ თუნუქი და დააყარეთ ცხელი ღადარი ნაკვერჩხლებით.

ხაჭაპური შეიძლება ჰაეროუმელშიც გამოაცხოთ.

## თავლია ხაჭაპური

500 გრ პურის ფქვილისგან მოამზადეთ საფუარიანი ცომი. 400 გრ ჩვილი ყველი ჩაფშვენით 4-5 ცალ ათქვეფილ კვერცხში, შემდეგ მოაყარეთ კეცზე დაკრულ ცომს და ირგვლივ შემოუკეცეთ კიდეები. უკვე გამომცხვარ ხაჭაპურს შუაგულზე დაადეთ ერთი ჩაის კოვზი კარაქი და სუფრაზე ცხლად მიიტანეთ.

## ბრინჯის ფლავი

თითო ჩაის ჭიქა დარჩეულ ბრინჯზე აიღეთ $2^1/_2$ ჩაის ჭიქა წყალი, $^1/_4$ ჩაის კოვზი მარილი და ერთი სუფრის კოვზი კარაქი. ქვაბში წამოადუღეთ კარაქგარეული წყალი და მარილი, ჩაყარეთ დარჩეული ბრინჯი, შეანელეთ ცეცხლი, დაახურეთ ხუფი, ხარშეთ 20-25 წუთის განმავლობაში. მიიღებთ მარცვლებად დაშლილ ფანტია ფლავს. გაურიეთ შაქარი და სურვილისამებრ დარჩეული ქიშმიში.

## კაიმაღი

აჭარულ სუფრაზე კაიმაღი სასაუზმე კერძად ითვლება. ის ასე მზადდება: ახლადამოყვანილი ყველი დაფშვენით, მოაყარეთ მარილი და მოასხით არაჟანი ან ნაღები. ნახევარ კილოგრამ ყველს დაახლოებით დასჭირდება ერთი ჩაის ჭიქა ნაღები ან არაჟანი.

ამ კერძთან ძალიან კარგია ცხელი მჭადი.

## ციტრუსების კანის შარბათი
### (სადესერტო სასმელი)

2-3 კგ ლიმონის, ფორთოხლის ან მანდარინის ნაყოფს მჭრელი დანით ან წვრილკბილებიანი სახეხით ფრთხილად შემოაცალეთ მხოლოდ ყვითელი კანი. თითო ჩაის ჭიქა ყვითელ კანს გაურიეთ თანაბარი რაოდენობის იმავე ციტრუსის რბილი ნაწილის წვენი, ერთი ჩაის ჭიქა წყალი და ორი ჭიქა შაქრის ფხვნილი. ყველაფერი ეს ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში, შემდეგ გააცივეთ, გაწურეთ, ჩაასხით ბოთლებში, დალუქეთ და შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას.

## ფორთოხლის ნაჭრები ბადაგით

კანგაცლილი ფორთოხალი თხლად დაჭერით, მარცვლები ამოაცალეთ, მოაყარეთ შაქარი და ჩააწყვეთ შუშის ქილაში. 10-15 წუთის შემდეგ დაასხით ბადაგი ისე, რომ მთლიანად ფარავდეს დაჭრილ ფორთოხალს.

სუფრაზე მიიტანეთ ცივად. თითო ლარნაკზე დააწყვეთ ფორთოხლის 2-3 ნაჭერი თავისი წვენით.

## ხურმის ან კარალიოკის ნამცხვარი „სამბუხი“

2 კგ მწიფე ხურმას ან კარალიოკს მოაცილეთ კანი, დასრისეთ და გაატარეთ საცერში, მოაყარეთ $^2/_3$ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, შედგით ნელ ცეცხლზე, სწრაფად ურიეთ და მხოლოდ ერთხელ წამოადუღეთ. ცეცხლიდან გადმოდგმისთანავე გაურიეთ 150 გრ დანაყილი ორცხობილა ან თავნაფქვი ბურღული. თუ შესასქელებლად ორცხობილას ურევთ, ნარევის წამოდუღება არ არის საჭირო. ცალკე ჭურჭელში ათქვიფეთ 5 კვერცხის ცილა და შეურიეთ მომზადებულ ფაფას, ჩაასხით ერბოწასმულ ყალიბში ან ჩუდოში და გამოაცხვეთ ჩვეულებრივად.

ასეთივე ნამცხვარი შეგიძლიათ მოამზადოთ ლელვისგან და ატმისაგანაც.

**ნ. ხოფერია**

გარეკანზე—«კოსმოსის დაპყრობა» მხატვარი ლ. შენგელია

**რედაქტორი თეო აბაშმაძე.**

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

**ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.**

**რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75, პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 1270. უე 07154

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

**Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.**

**Издательство ЦК КП Грузии.**



1. კუბოკრული ბობრიკის პალტო. საყელო ოდნავ უკანაა გადასული. სახელოები მიდგმულია. ფართო ქამარი წინ ბალთით იკვრება.

ავტორი ე. ატაპინა.

2. პალტო გოგონებისა და ქალიშვილებისათვის. მიდგმული სახელოებით და დიდი საყელოთი.

ავტორი ე. ატაპინა.

3. სწორი პალტო, ბოლოში დავიწროებული. სახელოები მთლიანგამოჭრილია.

ავტორი ჰ. ჯავაშვილი.

4. სწორი პალტო. სახელოები მიდგმულია. პალტოს ამშვენებს დიდი საყელო და ფართო ქამარი. ორიგინალურია ქამრის შესაკრავი, რომელიც პალტოს ქვეშ იმალება.

ავტორი ე. ატაპინა.



თბილისის მოდელების სახლი



3-14/70
ეროვნული ბიბლიოთეკა